# საერთო გაზეთი

№41 (774)
ოთხშაბათი
27 ნოემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.



# კახა კალაძე: ძალიან მალე საზოგადოებას ჩვენს საპრეზიდენტო კანდიდატურას წარვუდგენთ



„ჩვენ ძალიან მალე საზოგადოებას წარვუდგენთ ჩვენს საპრეზიდენტო კანდიდატურას. პირველ რიგში, მომავალი პრეზიდენტი უნდა იყოს პატრიოტი, პატიოსანი, არ უნდა იმართებოდეს გარე ძალებისგან, არ უნდა ასრულებდეს უცხო ქვეყნის წარმომადგენლების დავალებებს. ის უნდა იცავდეს საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს“.

მივესალმები, რომ ქვეყანაში იყოს ძლიერი, კონსტრუქციული ოპოზიცია და არა რადიკალების, უსამშობლო ადამიანების დაჯგუფება“, - ამის შესახებ დედაქალაქის მერმა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადების საპასუხოდ ისაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ შესაძლებელია, ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალა გაჩნდეს.

კახა კალაძის თქმით, ამჟამად ოპოზიციაში ერთმანეთზე გადაბრალების კამპანია მიმდინარეობს.

„მე, უბრალოდ, წარმოუდგენელი მგონია ის მხარდაჭერა, რომელიც საქართველოში ამ რადიკალებს ჰქონდათ. ერთმანეთზე გადაბრალება მიდის, რა გეგმაზეა საუბარი. ხალხის გარკვეულმა რაოდენობამ მხარი დაგიჭირა? - კეთილი ინებე, შებრძანდი პარლამენტში და გააკეთე შენი გასაკეთებელი, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს რადიკალებთან. ესენი არიან დაჯგუფება, რომელიც ებრძვის სახელმწიფოებრიობას, იმართებიან გარედან და რასაც დაავალებენ, ის უნდა გააკეთონ, ისე უნდა იმოქმედონ. ისინი თავიანთ თავს არ ეკუთვნიან. ეს არის დღევანდელი რეალობა და მოცემულობა. დააკვირდით მათ განცხადებებს, ქმედებებს, არ არიან ჩამოყალიბებული. ყოველთვის ელოდებიან, უცხოეთიდან რას ეტყვიან, როგორ უნდა იმოქმედონ და ა. შ.

თუკი ოპოზიციურ პარტიებს აქვთ სურვილი იარსებონ და დარჩნენ პოლიტიკაში, მნიშვნელოვანია პარლამენტში შესვლა“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, ამ ეტაპზე, ოპოზიცია მანდატებს დათმობს თუ არა, მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა, საბოლოოდ, ისინი პარლამენტში მაინც შევლენ.

„ბოლო დღეების განმავლობაში ძალიან ბევრ ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებას ვისმენთ. მე ვფიქრობ, ეს მათი მხრიდან ჩვეულებრივი კამპანია და კეკლუცობაა თავიანთი ამომრჩევლის წინაშე. თუმცა, საბოლოოდ, მგონია, რომ ეს ოპოზიციური პარტიები აუცილებლად შემოვლენ პარლამენტში. დღეს ამაზე საუბარი საინტერესო არ არის. ვფიქრობ, რომ სხვა უფრო ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია მოსაგვარებელი, უამრავი დაპირებაა ჩვენი მხრიდან გაცემული, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. თუ რას გააკეთებს ოპოზიცია და რას იზამს მომავალში - შევლენ თუ არა პარლამენტში, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ისევ და ისევ მათთვის და მათი არსებობისთვის, თუკი ამ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ სურვილი, იარსებონ და დარჩნენ პოლიტიკაში, მნიშვნელოვანია პარლამენტში შესვლა“, - აღნიშნა კახა კალაძემ.

facebook

## კახა კახიშვილი: დარწმუნებული ვარ, ოპოზიცია ეტაპობრივად შევა პარლამენტში



დღეს ოპოზიაციას, რომელმაც გადალახა ბარიერი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადნენ დეპუტატებად, ჰქონდათ ისტორიული შანსი, მიეღოთ მონაწილეობა პარლამენტის პირველ სხდომაში, იმ სხდომაში, სადაც მონაწილეობას იღებდა „ქართული ოცნების“ მთელი ხელმძღვანელობა, მათ შორის, საპატიო თავმჯდომარე ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი კობახიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, კახა კალაძე, მინისტრთა კაბინეტი და ყველა დეპუტატი, ფაქტობრივად, ერთ დარბაზში თავმოყრილი იყო „ქართული ოცნების“ როგორც ხელმძღვანელობა, ისე აღმასრულებელი და საკანონდებლო ხელისუფლება, მაგრამ ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, ან შეგნებულად, ჩემი აზრით, შეუქმნეს საკუთარ ამომრჩეველს ყალბი ილუზია. თუკი რაიმე კითხვები და მოსაზრებები ჰქონდათ,ეს მათთვის უპრეცედენტო შესაძლებლობა იყო, ამის სანაცვლოდ, საკუთარ ამომრჩევლებს უმტკიცებდნენ, რომ დღევანდელ სხდომას ჩაშლიდნენ, ამასობაში ვერც სხდომა ჩაშალეს და ვერც ეს უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობა გამოიყენეს. სრულიად დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ დამთავრდება იმით, რომ ეტაპობრივად შევლენ პარლამენტში.

**P.S.** ისე, ახლა კი ნამდვილად, კანონით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ პარლამეტს განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

## გიორგი იაკობაშვილი: სად გაქრა ლამარა გარუჩავა?



რა უსულგულო ხალხი ხართ! რატომ არავის გაინტერესებთ, სად გაქრა ლამარა გარუჩავა?

ის ხომ კარგი იყო, რომ გაცინებდათ?!

ჰოდა, დაყარეთ ვერსიები, თუ რა შეიძლებოდა მოსვლოდა ამ კდემამოსილ ბანოვანს.

მე ვფიქრობ, რომ ქალბატონი ლამარა არის ხელოვნური ინტელექტი და შტეფსელიდან გამორთეს.

თქვენ რას ფიქრობთ?

## გიორგი ცუცქირიძე: დროის საკითხია, ბარიერგადალახული ოპოზიციონერები პარლამენტში რა ფორმით შევლენ

**ერთადერთი რამ, რაც ამ პროტესტიდან და დაუმორჩილებლობის აქციებიდან დარჩა, არის მეტ-ნაკლები ინტერესი არა იმდენად, შევა თუ არა, არამედ როდის შევა ბარიერგადალახული ოპოზიციური ოთხი კოალიცია პარლამენტში. ახლა, როცა მე-11 მოწვევის პარლამენტმა ფუნქციონირება დაიწყო და 150 დეპუტატის უფლებამოსილებაც ცნო, უკვე ცოტა კომიკურად მოჩანს ოპოზიციის ქადილი სიების ჩახსნაზე და მანდატების გაუქმებაზე.**

**უკვე ვისმენთ ბრძნულ შეგონებებს საპარლამენტო ტრიბუნის, როგორც პილიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტის გამოყენების აუცილებლობაზე, თუმცა, საპარლამენტო მუშაობის ბოიკოტირებით. ამ სატყუარათი ვის "აბოლებენ" ეგ არის საინტერესო, თორემ მსგავსი სცენარები ადრეც გვინახავს, წინა წაგებული არჩევნების შემდეგ, ოპოზიცია პროტესტიდან ამ ნარატივზე რომ გადაჯდა და მიშელის შეთანხმებაც ამისთვის გამოიყენა.**

**ოპოზიციას, რომელიც თავისი უპრინციპობით, სიხარბითა და მანიპულაციებით არის ცნობილი, რა დაუშლის, რომ იგივე არ გააკეთოს, თუ საკუთარ მხარდამჭერებს ვერ „გადააგდებს“. თუ სხვა დროს არ გადაუგდიათ?**

**ან რა შეიცვალა მათ ხასიათში, რომ საპარლამენტო ხელფასებზე, პრივილეგიებზე თუ პოლიტიკურ გავლენებზე თქვან უარი?!**

## ნუკა არველაძე: მე ჩემი სამშობლო მიყვარს!



ახლა ვუყურე პირდაპირ ეთერში, პარლამენტი შედგა და გულით ვულოცავ მორიგ ჯერზე პარლამენტის თავმჯდომარედ შალვა პაპუაშვილის არჩევას!

შალვა, ალბათ, იმ იშვიათთაგანია, ვინც ამბობს სიტყვას და აკეთებს საქმეს!

მისი ყოველი მიმართვა საზოგადოებისადმი გულწრფელია!

დანარჩენს მოგვიანებით დავწერ!

რადგან, გარდა ქვეყნის გამთლიანებისა, აუცილებელია ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე აუცილებელი დე - ნაციფიკაცია და დე - კოჰაბიტაცია, რადგან არის მცდელობა კოჰაბიტაცია-კოლაბორაციის „გასაპრავებლად”, არაერთხელ გამოყენებულა ბიძინა ივანიშვილის მიმართვა და განმარტება ნაცებისადმი, - ჩვენ მათ მოვექცევით ისე, როგორც ამას ქართველი ხალხი იმსახურებს!!!

ახლა გასაგებია, თუ რატომ ითქვა ეს - იყო არნახული ზეწოლა გარე ფაქტორები, ახლა კი ეს ყველაფერი ნათელია და აღარავის სჭირდება ზედმეტი განმარტება!

12 წელი უერთგულა ამომრჩეველმა „ქართულ ოცნებას“, 12 წელი - საკუთარი ცხოვრების, ნერვების, არნახული ბულინგის, დისკრედიტაციის და დამცირების ხარჯზე!!!

ამიტომ დღეს უკვე დროა, აქეთ უერთგულოს „ოცნებამ“ ქართველ ხალხს და ეს არ ითვალისწინებს რაიმე სახის კოჰაბიტაცია-კოლაბორაციას ნაცებთან!

და არც გუნდრუკის კმევას, არც ენის მოჩლექით ლაპარაკს, არც საელჩოებიდან წამოღებული სიებით გონებაჩლუნგების თანამდებობებზე დანიშვნას!

ეს არ ითვალისწინებს, ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე იყოს თავდახრილი მაშინ, როცა უნდა შეეძლოს, დაეყრდნო გუნდს, ეს კი შეუძლებელი იქნება დე - ნაციფიკაციის და დე - კოჰაბიტაციის გარეშე!!!

ეს შეუძლებელი იქნება კოლაბორანტების ერთობლივი და კონსპირაციული ტაშფანდურის ფონზე!!!!

იმედი მაქვს, მორიგ ჯერზე უმრავლესობის ლიდერისა და „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე ამას ჩემზე უკეთ აცნობიერებს, რადგან, ვინ, თუ არა მან, ძალიან კარგად იცის გარე ფაქტორების ზემოქმედების მავნე შედეგები!!!

აღარ არის კოლექტიური დასავლეთის აგენტ-ჯაშუშებთან ენამოჩლექით ლაპარაკის დრო!!!

გაიგეთ! იქნებით თუ არა ხელისუფლებაში, თქვენს ადამიანობას და კაიტიპობას ნაცები და კრამონები არ განსაზღვრავენ!!!

არც ის, რამდენი იშოვეთ და დამშვენდით!!!

მილიარდებმა ვერ უშველა ვერც დორბლას და ვერც მის „სბროდს“!!!

თქვენს პიროვნებას და ავტორიტეტს მხოლოდ ქართველი ხალხი და მათი დამოკიდებულება განსაზღვრავს!!!

ასე რომ...

# მოგვაშორეთ ტომარაში ჩასმული კატა!

**დადგა 2024 წლის 25 ნოემბერი და საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტი მუშაობას შეუდგა.**

როდესაც მთაში ზამთარი დიდხანს გასტანს და ცხვარი იმშევა, მეცხვარე ფარეხში, ხარიხაზე ტომარაში ჩასმულ კატას ჰკიდებს. კატა ტომარაში ფხარკალებს, ცხვრები მისით ინტერესდებიან, შიმშილი ავიწყდებათ და მეცხვარეც აღარ წუხდება მათი ბღავილით, ამასობაში კი გაზაფხულიც მოდის.

რამ გამახსენა ცხვრები და კატა?

ბატონებო და ქალბატონებო!

საქართველო ფარეხი არ არის, არც საქართველოს ღირსეული მოქალაქეები ვართ მშიერი ცხვრები — მოგვაშორეთ ტომარაში ჩასმული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“!

„ჩასმასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ გამახსენდა — როდემდე უნდა იკოტრიალოს სრულიად ჯანმრთელმა „ნაცმოს“ ბელადმა, საქართველოს მაოხრებელმა გზირმა მისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან შედარებით მეტ-ნაკლებად სასურველ გარემოში? „ნაცმო“, მისი ყველა განშტოებიანად, მისგან იწყება, შესაბამისად, დაიწყეთ მისგან და გადააბრძანეთ კუთვნილ ადგილზე!

საბჭოთა უღელი გადავაგდეთ; ახლა ლიბერალური ფაშიზმის უღელს ვუგრეხთ კისერს და რა გახდა ამ ერთი მუჭა უსამშობლოების, რეალურად კი საკუთარი სამშობლოს მტრების, უცხო ქვეყნებისთვის ჯაშუშების კისრის მოგრეხვა?

როგორც შეგვპირდით, საქმით დაგვანახეთ, რომ კოაბიტაცია ნამდვილად დამთავრდა და ის სამარცხვინო ალიანსიც დამთავრდა, რასაც „ნაც-ქოცობა ერთია“ დაარქვა ხალხმა!

ბელადით დაიწყეთ-მეთქი და უპირველესად, იმით დაინტერესდეს შესაბამისი უწყება, რა თქვა გასულ კვირას, რა წამოცდენასთან გვაქვს საქმე? ამ არაადეკვატურ ადამიანს ძალიან უყვარს, როდესაც ყურადღების ცენტრშია, რაღაცას ეკითხებიან, უსმენენ, შესაბამისად, სიამოვნებით ილაპარაკებს და ლაპარაკში კიდევ იტყვის რაიმე ისეთს, რაც მნიშვნელოვანი იქნება გაახრებისთვის. ეს მშიშარა ადამიანი ციხეში გადაყვანის შიშითაც კი ალაპარაკდება...

სააკაშვილი წერს: „აფხაზების გამარჯვებაში არის ერთი საფრთხე — თავისი წარმატებული ბრძოლით დასავლეთის სიმპათია მოიპოვონ...“

რა „საფრთხეზე“ წამოსცდა ამ ენაგწაგდებულ ცეტს, რა „საფრთხეს“ გულისხმობს?

უცნაურ და შემთხვევით დამთხვევად სულაც არ მეჩვენება, რომ ამ დღეების განმავლობაში საქართველოს ე. წ. პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ღიად უჭერდა მხარს ოპოზიციას, ამჯერად — აფხაზეთში.

ამ ორი ნაძირალას, პატიმარ და დასაპატიმრებელ, ექს და მოქმედ პრეზიდენტებს რა სიხარულის ერთობა და საერთო იმედი გაუჩნდათ აფხაზეთში მიმდინარე არეულობასთან დაკავშირებით? აქამდე აფხაზეთი საით იყო, ის არ აინტერესებდათ, ახლა რა გულშემატკივრები და დაინტერესებულები აღმოჩნდნენ აფხაზეთით, კონკრეტულად კი აფხაზეთში არსებული ოპოზიციით, ისინიც ე. წ. ოპოზიცია არიან და უკვე დასავლეთის თამაშს თამაშობენ?

ზოგადად, როცა ვარდება „გეგმა „ა“, მუშაობას იწყებს სათადარიგო „გეგმა „ბ“...

აფხაზეთი ერთი პატარა წერტილია. ჯერ საქართველო რა არის მსოფლიო რუკისთვის, ახლა კიდევ, მისი პატარა ნაწილი, რომელიც საქართველოს გარეშე არაფერია, აბსოლუტურად უჩინარია — და, რა „საფრთხე“ წამოსცდა ამ უსამშობლოს?

„როცა ე. წ. პრეზიდენტი ზურაბიშვილი თვლის, რომ დღეს საქართველოს არ ჰყავს ლეგიტიმური ხელისუფლება; რომ ივანიშვილმა რუსული სპეცოპერაციით თავისუფალი არჩევანი მოჰპარა ქართველ ხალხს და პრეზიდენტის ინსტიტუტის გარდა, ყველა სახელისუფლებო შტო რუსული გავლენის ქვეშ არის, რა ახსნა აქვს პრეზიდენტის მხრიდან რუსულ სატუსაღოში პუტინის პოლიტიკური პატიმრის დატოვებას?“ — კატეგორიული ტონით იკითხა თავიანთ დღედ გამოცხადებულ 23 ნოემბერთან დაკავშირებით იმ „ნაცმოს“ თავმჯდომარემ, რომელ ნაცმოსთან კოაბიტაციას დასასრული არ უჩანს.



გვესმის, რომ იმ დროს, 2012 წელს, „სხვაგვარად არ ძალგიძდათ“, სამართალისა და სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე ხალხის შესაყოლიებლად სიტყვები უნდა გერახუნათ, მაგრამ ახლა, როდესაც ვხედავთ, რომ „შეგიძლიათ სხვაგვარად“, — შეასრულეთ დანაპირები! დანაშაულის ჩამდენის დასჯა შურისძიება კი არ არის, დამნაშავის დასჯაა! რას მიქვია პოლიტიკური სარჩული, როდესაც მავანთა დანაშაული სახეზეა!

„რას იტყვის კრებსითი დასავლეთი“ — ამ მიდგომამ მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე და იმ ვითარებამდე, „ქართული ოცნების“ კუთვნილი ათასობით ამომრჩევლის ხმა რომ ქარმა წაიღო. ასეა, რადგან „ოცნებაზე“ გულდაწყვეტილმა ამომრჩევლებმა, რომლებმაც „ქართულ ოცნებას“ არ მისცეს ხმა, მათთვის მისაღებ კონსერვატულ ძალას გაჰყვნენ და საბოლოოდ, არც იმათ გამოადგნენ და მათი ხმა „ოცნებამაც“ დაკარგა, — საქმეა ეს?

„რას იტყვის დასავლეთი“ და — თქვა უკვე, საბუდარიდან აგვართვა ქართველი წიწილები, გაზარდა და გაფანტა გველის წიწილებად... გველის წიწილები მოედვნენ ყველაფერს და მათ უკვე თვითონ დაიწყეს წიწინების გამოჩეკა — თუ არ გაუსრისეთ გველს თავი, ის არასდროს შეწყვეტს გამრავლებას...

ყოველთვის უცხოურის ხიბლი ღუპავდა საქართველოს და ასეა დღემდე — დაუბრუნეთ ქართველებს ქართული ხიბლი!

მსოფლიო იხიბლება ქართული მრავალსაუკუნოვანი ყველაფრით და ახალგაზრდა თაობებს ერცხვინებათ. რატომ? იმიტომ, რომ უსამშობლოებად ჩამოყალიბდნენ სწორედ იმ განათლების სისტემის გამო, რომელიც დღემდე მიგდებულია და გარედან იმართება! გამოვიდეთ იმ დასაქცევი „ბოლონიის პროცესიდან“, — ამას დაფიქრება და რევერანსები არ სჭირდება! რა გახდა ეს დაწყევლილი 2005 წლის ბერგენის სამიტი, რომ ამდენი თაობა უწიგნურობისთვის გაიწირა და ახლაც არავინ ფიქრობს ამ უმეცრების თავიდან მოსროლას...

2003 წლიდან რასაც შეუერთდა საქართველო და რასაც ხელი მოაწერა, ერთი რამ დამისახელეთ, რომ საქართველოსთვის სარგებელი მოიტანა და ხმას აღარ ამოვიღებ არც განათლების სისტემაზე და არც არაფერზე, რაც დაქცეულია...

ძალიან კარგია, მომწონს და ტაშს ვუკრავ ინფრასტრუქტურის გალამაზება-მოწესრიგებას, მაგრამ ეს ქვეყნის შენება არ არის, ეს ინფრასტრუქტურის მოწყობაა, უწიგნური ქვეყნის გარეგნული შეფუთვა... ძვირფას სამოსში გამოწყობილი ადამიანი სიმფონიური მუსიკის კონცერტზე ცხვირში თითს რომ იჩხიკინებს და უმაყოფილოა, ესენი აქ რომ უშნოდ აბზუილებენ ამ დუდუკსო, ისე არიან ახალგაზრდა თაობები...

არავისთვის არ გვაქვს თავი მოსაწონებელი, რაც ვართ, ის ვართ და ძალიანაც კარგები ვართ — გადახედეთ ჩვენი ჯანმრთელი ახალგაზრდების მიღწევებს ყველა მიმართულებით, ავადმყოფების ჯგუფს, ვისაც არ მოვწონვართ, გზა ხსნილი აქვს, გაცერით და გადაახარისხეთ, მოიშორეთ ტკიპებად დანიშნულები...

რა გასაჭირი ადგას საქართველოს, რომ გარედან ყურით მოთრეული კანონები არ „აითვისოს“ და საკუთარ ქვეყანას და საკუთარ ხალხს ძმრად ადინოს ცხვირიდან სამშობლოს სიყვარული!

რა ჯანდაბაა ანტიდისკრიმინაციული კანონი სამი განსხვავებული აღმსარებლობის გვერდიგვერდ არსებული ტაძრების ქვეყანაში! კიდევ სადმე, რომელიმე ქვეყანაში თუ დგას ასე ჰარმონიულად მართლმადიდებლური ტაძარი, მეჩეთი და სინაგოგა, რომელთა მორწმუნე მრევლიც ერთმანეთს ეფერება, მე არ ვიცი...

სხვა რა, კანის ფერის გამო დავდევთ ვინმეს კოცონზე დასაწვავად? თუ გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის გამო, როცა ტაშს ვუკრავდით და ფეხზე ვუდგებოდით მათ დიდ ხელოვნებას — რისთვის არის საჭირო ის, რის არმიღებასაც პატრიარქი და საპატრიარქო ითხოვდა.

„აგენტების“ და „ლგბტ კანონი“ გაიწვიოთ კი არა, ის ბოროტი და მავნებლური კანონები გაიწვიეთ, რაც ყოვლად მიუღებელია საქართველოს ყველა აღმსარებლობის მოქალაქისთვის, რადგან ისინი ერთნაირად მიუღებელია ყველასთვის და ეს არაერთხელ დაადასტურა საქართველოში არსებული ყველა რელიგიური კონფესიის მეთაურმა!

აღმსარებლობა არ სჭირდება ყველას საერთო საწუხარს — ლიბერალური ნარკოტიკის გამოა ასეთი სურათი. კაბინეტებიდან არ ჩანან გაყინული თევზისთვალებიანი ადამიანები, არც ასფიქსიაში ჩავარდნილები... ყბადაღებული ფონიჭალა ნარკოკარტელი არ არის, თვალისასახვევი ერთ-ერთი ფარსია, ნარკოკარტელი ის კანონია, რაც თავზე გვადევს...

ე. წ. გენდერული კანონის მიღების დროს, არცერთი კაცი არ იყო დარბაზში, თუ ყველა ფონიჭალის ნარკოტიკით იყო დაბანგული? რანაირად მოაწერეთ ხელი მამაკაცების გენდერული ნიშნით ჩაგვრას, — ქალი ვარ და ვერ ვხვდები. ის, რომ ქალი აპრიორი მართალია, რანაირად დააკანონეთ! რამდენი ოჯახი დაანგრიეთ და გააბედურეთ, ამაზე გიფიქრიათ? დაგითვლიათ? დანაშაული არის დანაშაული, რას ჰქვია გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული! სად ნახეთ, რომ კაცი იმიტომ შეურაცხჰყოფდა ქალს, რომ ის ქალი იყო და სქესის გამო ედავებოდა?!.

რომელი ერთი უმსგავსობა ჩამოვთვალო?

გააქრეს სამშობლის ღალატის მუხლი; გააქრეს ცილისწამების მუხლი; გააქრეს მამათმავლობის მუხლი და ა. შ. რაც ქვეყნისა და ადამიანობის, ღირსების, ზნეობის საფუძვლებია და თავს მოგვახვიეს ყველანაირი უმსგავსობა. შესაბამისად, მივიღეთ თავზეხელაღებული, დატრენინგებული უწიგნური ბიომასა, რომელსაც დაზეპირებული ფრაზების იქით არაფერი ესმის და ყველა უზნეობას, რასაც ქცევითა თუ ვერბალურად გამოხატავს, „გამოხატვის თავისუფლება“ დაარქვა, თუმცა ამაშიც დატრენინგებულები არიან, წამიერად გადააკეთებენ ასევე ყურით მოთრეული სიტყვით, „ბულინგი“...

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციას — საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ „საჩოხედ“ უნდა იყოს გამოჭრილი და არა ცალკეული ორგანიზაციების დროშის ფორმასა და ფერზე, გადამთიელების მიზნებსა და იდეებზე.

სწორედ ამიტომ იყო და არის ახლა ასეთი გამალებული ძალისხმევა, რომ საქართველოს სხეულში ჩასობილი ჭანგები არ ამოაძრონ, ჩვენ კი იმ თეთრი მტრედივით ვართ, მშვიდობიანი ბუნების გამო უნიათოდ რომ გამოვიყურებით, თუმცა, ვნახოთ...

ის, რასაც ახლა ვხედავთ, მხოლოდ ერთ რამეს ჰგავს — ლიბერალური ფაშიზმის აგონიას!

ამას დაერთო აშშ-ში საპრეზიდენტო ადმინისტრაციის შეცვლა, თუმცა მაინც მოიქნია კუდი ბაიდენის ადმინისტრაციამ და მესამე მსოფლიო ომის კარის გამოღებას მხოლოდ გამოღებაღა აკლია, ხელი დადებულია სახელურზე და ეს უბედურება სხვა სურათად იახება საქართველოზე — ევროპას პრაგმატიზმის სურვილი ულვივდება.

ქართველმა უსამშობლოებმა უკვე მეორედ უგველეს საქართველოს და ამჯერად უკვე საბოლოოდ გაიშიშვლეს თავი — ჩვეულებრივი ჯაშუშები შეგვრჩნენ ხელში, ზოგი გაცვეთილი, ზოგი ახალბედა, ორმაგი, სამმაგი და ეშმაკმა უწყის, კიდევ რანაირი. თუ არ დაბრუნდება უკან სისხლის სამართლის კოდექსში ის მუხლები, რაც იყო და უნდა იყოს, — უარესს მივიღებთ!

ახლა კი იმ „მიღწევით“ უნდა დავკმაყოფილდეთ, რაც ამ ეტაპზე ჩვენი რეალობაა — ევროკავშირს, სურს თუ არ სურს, უნდა ითანამშრომლოს „ქართულ ოცნებასთან“, რადგან სხვა რეალური პოლიტიკური ძალა, კარგად დაინახეს, რომ მიუხედავად მათი დიდი გარჯისა, არ არსებობს. მათზე უკეთ ვინ იცის, რომ ისინი, ვისზეც ფსონს დებდნენ, მათი ჩვეულებრივი გოშიები იყვნენ და არა რაიმე ძალა, საკუთარი ხალხის მიერ მოძულებული კრიმინალური ახლო წარსულის ნაცბანდა...

კრებსით დასავლეთს იმან შეუქმნა პრობლემა, რომ ეუთო/ოდირმა დადასტურებულად განაცხადა, რომ არჩევნები მშვიდ და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა, სადაც გაყალბების შესახებ ბრალდების არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ამის გარდა, კრებსითმა დასავლეთმა კარგად იცის, რომ ე. წ. დასავლური ძალები, რეალურად კი მათი ჯაშუშები, დისკრედიტირებულები არიან და რაგინდ აფინანსონ, მაიდნის მომწყობები ვერ არიან.

იმასაც კარგად ხვდებიან, რომ ზედმეტი ფაფხური მხოლოდ იმის რისკს გაზრდის, რომ საერთოდ დაკარგავენ რაიმე სახის გავლენას კი არა, ჭეშმარიტი ევროპელის სახელსაც კი.

უნგრეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი და იტალია მხოლოდ პირველი მერცხლები იყვნენ, მცირე ხანში მათ სხვებიც მოჰყვებიან, — ასე იცის მართალმა საქმემ, დანარჩენი უკვე პოლიტიკური შინაარსის სათავგადასავლო რომანია...

საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტო, სწორება საქართველოზე!

**მაია ჭელიძე**

# სალომე ზურაბიშვილი „რუსული“ ჟონგლიორობით საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდა



*გვესაუბრება ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე:*

**- ბატონო ზაალ, 23 ოქტომბერს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ვარდების რევოლუციის“ 21-ე წლისთავი აღნიშნა. რომ გავიხსენოთ, რა შეცვალა ამ დღემ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში?**

- მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა სააკაშვილის რეჟიმის მიმართ, ვერ ვიქნებით ობიექტური, თუ ვიტყვით, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში არაფერი შეცვლილა. შედარებით მოწესრიგდა სახელმწიფოებრივი ცხოვრება და მართვა, - ეს იყო შედეგი. შევარდნაძის პერიოდში პრაქტიკულად ყველაფერი მოშლილი იყო და სახელმწიფო თავის სოციალურ ფუნქციას ვერ ასრულებდა. მოგეხსენებათ, თვეობით ვერ გაიცემოდა ხელფასები, პენსიები, იყო ელექტროენერგიის მომარაგების პრობლემები ქვეყანაში, იყო ტოტალური კორუფცია, პრაქტიკულად ყველა დონეზე... „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი სახელმწიფომ სოციალური ვალდებულებების შესრულება დაიწყო. მართალია, ყველაფერი მომენტალურად არ მომხდარა, მაგრამ მოსახლეობამ ქვეყნის წინსვლა ნაბიჯ-ნაბიჯ იგრძნო. მეტი დისციპლინა დამყარდა სახელმწიფო უწყებებში. იმის შედეგად, რომ პოლიციელებს და სამართალდამცავებს ნორმალური ხელფასები დაენიშნათ, რიგითი კორუფცია აილაგმა. თუმცა, სისტემურად ბევრი არაფერი შეცვლილა. ქვედა დონის კორუფცია შემცირდა, მაგრამ ის ავიდა ზედა დონეზე და გახდა ელიტური კორუფცია. გარდა ამისა, იმ ცვლილებებმა, რაც საზოგადოებაში მოხდა - შიშის სინდრომის დამკვიდრებამ, ერთმანეთის მიმართ უნდობლობის გაჩენამ, ძალადობრივი მეთოდებით მართვამ, პრაქტიკულად ყველა სფეროში ხელისუფლების პოზიციების ეროზია გამოიწვია. 2007 წლიდან მოყოლებული კი, ხელისუფლება, ძირითადად, იმ მიღწევებზე იდგა, რაზეც მან სამი წლის განმავლობაში იმუშავა. 2006 წლის შემდეგ, 2007 წლის დასაწყისში ფუნდამენტური რეფორმები პრაქტიკულად შეჩერდა. იმ დროისთვის ხელისუფლებამ დელეგიტიმაცია განიცადა თავისი ძალადობრივი ქმედებებით და ამის შემდეგ ის უკვე მთლიანად რეპრესიულ რეჟიმზე გადაერთო. შედეგად, იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლების ხელში იყო ყველა ბერკეტი და ყველაფერს აკონტროლებდნენ, 2012 წელს მათ არჩევნები წააგეს.

**თუმცა, არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც დღემდე ვერ გამოსულა 2003 წლის და შემდგომი წლების ხიბლისგან და მიაჩნია, რომ ყველაფერი, რა საძაგლობებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა, საჭირო და გამართლებული იყო. ძალიან საშიშია ასეთი ხალხის არსებობა საზოგადოებაში, რადგან გამოდის, რომ ისინი ხელს აწერენ ყველა იმ უბედურებას, რაც რეჟიმმა ქვეყანას თავს დაატეხა და შეუძლიათ, იგივე გაიმეორონ.**

**- მალე სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის ვადა ამოიწურება. თქვენი აზრით, რა სახელით შევა ის საქართველოს ისტორიაში? ასევე საინტერესოა, ვის ისურვებდით ქვეყნის პრეზიდენტად?**

- სალომე ზურაბიშვილი შევა საქართველოს ისტორიაში როგორც პრეზიდენტი, რომელიც პროევროპულ რიტორიკას ამოფარებული, „რუსული“ თემის ჟონგლიორობით მოქმედებდა საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ. რეალურად კი, ვინ ერევა ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში, რუსეთი თუ ევროპა და ამერიკა, ჩვენ ამას ვხედავთ და ეს კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა არჩევნების და მის შემდგომ პერიოდში. შესაბამისად, მგონია, რომ ზურაბიშვილს უნდა აქედან წასვლა და დასვენება, მაგრამ, როგორც ჩანს, გარე კურატორებმა უბრძანეს, რომ ოპოზიციას უჭირს და ის ჯერ კიდევ საქართველოშია საჭირო, როგორც მათი ერთიანი ლიდერი და მან ეს ფუნქცია უნდა იტვირთოს. ამიტომაც, **ზურაბიშვილმა გამოაცხადა, რომ საქართველოდან არ მიდის და პოლიტიკაში რჩება. ეს შეიძლება იყოს მინიშნება იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი გარკვეული პოლიტიკური ძალის ფორმირებას და მის ლიდერობას აპირებს.**

ვფიქრობ, სასურველი იქნება, თუკი მმართველი გუნდი მომავალ პრეზიდენტს აკადემიური წრეებიდან შეარჩევს, რომელიც არ იქნება ღიად აფილირებული პოლიტიკურად „ქართულ ოცნებასთან“, ექნება საკმარისი გავლენა და კონტაქტები საზღვარგარეთ და ისარგებლებს ნდობის გარკვეული კრედიტით საზოგადოებაში. თუმცა, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, რისკის გაწევის უფლება მმართველ გუნდს არა აქვს. ამიტომ, ალბათ, მომავალ კანდიდატს „ქართული ოცნების“ წიაღიდან ვიხილავთ.

**- აფხაზეთსა და რუსეთს შორის სიტუაცია დაიძაბა, რასაც სააკაშვილიც გამოეხმაურა სოციალურ ქსელში. ის ამბობს, რომ „აფხაზების გამარჯვებაში არის ერთი საფრთხე - თავისი წარმატებული ბრძოლით დასავლეთის სიმპატია მოიპოვონ...“ რას გულისხმობს ის, რატომ უნდა იყოს საფრთხე საქართველოსთვის, თუკი აფხაზეთი დასავლეთის სიმპათიას მოიპოვებს?**

- დასავლეთი შეიძლება მოიხიბლოს იმით, რომ აფხაზეთში ხალხის ზეწოლით ხელისუფლება გადადგა, გაიმარჯვა სახალხო დემოკრატიამ და ამის გამო მათ აფხაზეთი აღიარონ. სააკაშვილმა ეს იგულისხმა. თუმცა, თუკი ასე მოხდება, მაშინ დასავლეთი იქ შევა თავისი ინვესტიციებით, თავისი ფულით და მოთხოვნებით და არა მგონია, რომ აფხაზები ამაზე დათანხმდნენ. აფხაზებს ჰქონდათ ადრე ამის შესაძლებლობა, როდესაც დასავლეთმა შესთავაზა საქართველოს ხელისუფლებას თანამშრომლობა აღიარების გარეშე! ანუ, მათ უნდოდათ, შეეტანათ აფხაზეთში ფული და ჩაედოთ ინვესტიციები, ოღონდ, ეს უნდა გაეკეთებინათ საქართველოს მთავრობის გვერდის ავლით.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, სააკაშვილის მეთაურობით, ამის წინააღმდეგ წავიდა და რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, ამის წინააღმდეგ წავიდნენ თავად აფხაზებიც, რომლებმაც ჩათვალეს, რომ, თუ დასავლეთი ინტენსიურად შევიდოდა აფხაზეთში, ეს მათ ინტერესებს, მათ კულტურას, იდენტობას, თვითმყოფადობას დააზიანებდა... როგორც ახლა ეშინიათ იმისა, რომ ეს საინვესტიციო პროექტები რუს ინვესტორებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენებს, რასაც მოჰყვება რუსების



ინტენსიური შესვლა, მათი კულტურის შემოდინება, რამაც შეიძლება აფხაზურ იდენტობას საფრთხე შეუქმნას, დემოგრაფიული ვითარება შეცვალოს და აფხაზური ეთნოსი საერთოდ გაანადგუროს, - იგივე შიში ჰქონდათ ევროპის მიმართ. ამიტომაც აფხაზებს ურჩევიანთ, ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, როგორშიც არიან, ვიდრე დაუშვან რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან ინტენსიური ეკონომიკური შესვლა.

**- ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება რუსეთთან საინვესტიციო შეთანხმების გამო დაიწყო. ასეთი მნიშვნელოვანია მხარეებისთვის ეს საინვესტიციო შეთანხმება?**

- სწორედ მანდ არის ძაღლის თავი დამარხული, რომ აფხაზეთის ეკონომიკა, ძირითადად, გადის ტურიზმზე, სხვა არაფერი იქ არ იწარმოება. რუსული ფულით სულდგმულობს აფხაზეთის ეკონომიკა, მაგრამ ტურისტული კომპლექსები არის აფხაზეთის მცირე და საშუალო ბიზნესების კონტროლის ქვეშ და თუ იქ რუსები შევლენ თავიანთი მსხვილი საინვესტიციო პროექტებით, ააშენებენ მაღალი დონის სასტუმროებს და დასასვენებელ კომპლექსებს, აფხაზებს ისინი, რეალურად, განდევნიან. აფხაზეთში რუსი ტურისტების გარდა არავინ ჩადის და რატომ ჩავა რუსი ტურისტი რომელიღაც დაფხავებულ აფხაზურ სასტუმროში?! - ჩავა რუსების მიერ აშენებულ კომფორტულ სასტუმროში. ანუ აქ არის უკვე ეკონომიკური და ფინანსური ინტერესების კონფლიქტი. გარდა ამისა, ეჭვი მაქვს, რომ ასლან ბჟანია (რომელიც ოპოზიციამ პრეზიდენტის თანამდებობიდან გაისტუმრა) და მისი კლანი არიან წილში რუსებთან და გაინაწილებენ იმ სიკეთეებს, რასაც ისინი ამ რუსული ინვესტიციებიდან მიიღებენ. ესეც კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზია.

**- ამ შემთხვევაში, რით შეუძლია დაეხმაროს, ან რა შეიძლება შესთავაზოს აფხაზებს საქართველოს ხელისუფლებამ?**

- არსებული ინფორმაციისა და ანალიზის საფუძველზე შემიძლია გითხრათ, რომ ახლა საქართველოს, პრაქტიკულად, არანაირი ზეგავლენის ბერკეტი არ გააჩნია. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, არის ის, დავუშვათ, აფხაზეთს შევთავაზოთ, რომ თუ ისინი დაიწყებენ ფიქრს საქართველოსთან რაიმე სახის ინტეგრაციაზე და ქართველ ლტოლვილებს დაბრუნების ნებას დართავენ, ასევე, თუ გაუმჯობესდება თუნდაც ქართველების უფლებრივი მდგომარეობა გალის რაიონში, ჩვენ შევძლებთ დავეხმაროთ მათ დასავლურ ბაზრებზე გასვლაში და შევიტანოთ მათთან დასავლური ინვესტიციები. თუმცა, როგორც გითხარით, არ დათანხმდებიან ამას აფხაზები, იმიტომ, რომ ისინი საქართველოს მთავრობის გავლით ნებისმიერ ეკონომიკურ აქტივობას აფხაზეთში განიხილავენ, როგორც სუვერენიტეტზე თავდასხმას და რატომღაც ზოგიერთ ქართველს ეს არ ესმის. შესაბამისად, ამაზე არ წამოვლენ, მაგრამ აფხაზები ამ ქართულ კარტს ათამაშებენ რუსეთის წინაშე. თუ რუსეთი ძალიან შეავიწროვებთ, ისინი ეტყვიან, რომ აგერ არის საქართველო და საქართველოსთან გამონახავენ საერთო ენას, მაგრამ რუსეთთან მათ ეს თამაშები, მე მგონი, აღარ გაუვათ. რამდენადაც ვიცი, რუსეთში ძალიან უკმაყოფილო არიან იმით, რაც აფხაზეთში მოხდა, ამას არ იმჩნევენ, მაგრამ მომავალი წლის თებერვალში, როდესაც აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, რუსები აფხაზეთის ახალ ხელისუფლებას ძალიან მკაცრ პირობებს დაუყენებენ. შესაბამისად, გაიზრდება ფინანსური თუ ეკონომიკური წნეხი და აფხაზები იძულებულნი გახდებიან, დათანხმდნენ რუსების პირობებს, რადგან მათ სხვა გზა, უბრალოდ, არა აქვთ!

**ნონა ქარქაშაძე**





*გვესაუბრება კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:*

# ჩვენ პოლიტიკური დიდგორი ევროპაში მოვიგეთ

**— ბატონო გოგა, არჩევნებიდან ერთი თვე გავიდა. როგორ შეაფასებთ პოსტსაარჩევნო პერიოდს?**

— 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი იყო და ბევრი საინტერესო რამ გამოკვეთა. კერძოდ, მიუხედავად იმისა, ბნელ ძალას ხმა ქვეყნის 700 ათასმა მოქალაქემ მისცა, შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ამ სიბოროტეს, როთიზაციას საქართველოში რეალური მხარდაჭერა არ აქვს. დიახ, მოსახლეობა ამ გარყვნილების იდეოლოგიის გამარჯვების წინააღმდეგი აღმოჩნდა. მართალი გითხრათ, არ მესმის, რამ განაპირობა, რომ ამ ბოროტ ძალებს ამდენმა ქართველმა ხმა მისცა. მით უმეტეს, ეს იმ ფონზეა გასაკვირი, რომ ყველა ვადევნებდით თვალს, წინასაარჩევნო კამპანიისას რა ძალებს ეყრდნობოდა ე.წ. ოპოზიცია. ვგულისხმობ უცხოელებს. ისინი ხომ საქართველოს არ წარმოადგენენ. ეს გახლავთ ძალა, რომელიც საქართველოში პორნოლიბერალიზმის გამეფებას ხელს უწყობს და ჩვენს დაჩოქებას ცდილობს. აქაურ აგენტებს სურთ, ამ პორნოლიბერალების მსახურებად გადაგვაქციონ.

ამ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ" ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა — პირველ და მეორე ადგილს შორის დიდი პროცენტული სხვაობაა. თანაც, ეს მმართველი ძალის მეოთხე გამარჯვებაა. ჩემთვის მნიშვნელოვანი კიდევ ერთი გარემოება იყო — ამ ბეცებმა საქმეში სტუდენტები ჩართეს და ქუჩაში მათი 0,1%-იც კი ვერ გამოიყვანეს. საქართველოში სტატისტიკური მონაცემებით 161 ათასი სტუდენტია, მათ კი, 160-იც ვერ შეკრიბეს. პრაქტიკულად, არჩევნების გასაპროტესტებლად მთლიანად პარტიული აქტივი გამოვიდა, არანაირი სტუდენტური მოძრაობა იქ არ ყოფილა. პორნოლიბერალურმა ძალამ დიდი ფული დახარჯა, რათა საქართველოში სტუდენტები გაერყვნა. ძირითადი თანხები, რასაც ე.წ. ნჯო-ები და მათი დონორი ორგანიზაციები — „ევროპის განვითარების ფონდი", „აი-რაი", „ენ-დი-აი" მალავდნენ, სწორედ ახალგაზრდების გარყვნას ხმარდებოდა.

რეალურად ამ პორნოლიბერალებს საქართველოში ჩატარებული არჩევნების ბედი საერთოდ არ ადარდებთ. მათი პროტესტი ძირითადად გამჭვირვალობისა და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" კანონებისკენ არის მიმართული. „ქართულმა ოცნებამ" ეს კანონები რომ გააუქმოს, მაშინვე ტაშს დაგვიკრავენ და იტყვიან: საქართველოში არჩევნები თავისუფალ, სამართლიან გარემოში ჩატარდაო. ჩვენ პოლიტიკური დიდგორი საქართველოში კი არა, ევროპაში მოვიგეთ.

ეს გადაგვარებული დაწესებულება — ევროკავშირი, პოლიტიკურად, ზნეობრივად, სექსუალურად გარყვნილი ადამიანების თავყრილობაა. ქართველმა ხალხმა წარმოუდგენელი გამარჯვება იზეიმა, როცა არჩევნებში ამ გარყვნილებას, უწესობას ცალსახა უარი უთხრა. ეს ქართველი ხალხის დიდი გამარჯვებაა და მეამაყება, რომ ამ ერის შვილი ვარ. 70 წლის ვხდები და ახლა ვიაზრებ, რატომ დავიბადე ამ ქვეყანაში — რათა ამ დიდ გამარჯვებას მოვსწრებოდი.

**— მესამე მსოფლიო ომი ახსენეთ, ამის პროვოცირება ბაიდენის გადაწყვეტილებამ მოახდინა?**

— რაც ახლა ხდება, ფაქტობრივად, ბირთვული ომის წინაპირობაა. ამ გაბოროტებულმა, გონებადაკარგულმა ბებერმა ბაიდენმა აშშ-ს მსოფლიოს თვალში დიდება, პატივისცემა დააკარგვინა. ამერიკის არჩევნებში ხმა არა იმდენად ტრამპს მისცეს, არამედ საკუთარი ქვეყნის, ღირსების გადარჩენას, რასაც ტრამპი განასახიერებს. წმინდა დემოკრატიულ შტატებშიც კი, რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. იქაც და საქართველოშიც ხალხი გამოფხიზლდა. საამაყოა, რომ ჩვენ აშშ-ს ერთი ნაბიჯით წინ გაუსწროთ. გავიხსენოთ არნახული ზეწოლა ტრამპზე, მას ორი ტერაქტი მოუწყვეს. ამერიკულმა ვითომ თავისუფალმა პრესამ, ტელესაროსკიპოებმა: „სი-ენ-ენმა", „როიტერმა", „ნიუ-იორკ თაიმსმა", „ვაშინგტონ პოსტმა" და სხვებმა სახე საერთოდ დაკარგეს. ტრამპზე შტურმი ხორციელდებოდა, მას 425 წლით პატიმრობა ემუქრებოდა. მსგავსი შეტევა ხდებოდა ერთი ციცქნა საქართველოზეც, რომელსაც უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ გააჩნია. მიუხედავად ამ პორნოლიბერალური შტურმისა, ქართველმა ხალხმა მთელ მსოფლიოს განუცხადა: ჩვენ დავიცავთ საკუთარ ღირებულებებს, ცხოვრების წესს, ქვეყანას... ვიმეორებ, ჩვენ პოლიტიკური დიდგორი მოვიგეთ, რასაც მთელ საქართველოს ვულოცავ.

**— როგორ ფიქრობთ, რა რეაქცია ექნება ტრამპს ჩინეთის კავკასიაში შემოსვლაზე?**

— ჩინეთი კავკასიაში კი არა, მთელ მსოფლიოშია შემოსული. მსოფლიოს მომავალი განვითარება, პროგრესი — ეს არის ჩინეთი. ის დიდი ქვეყანაა დიდი შესაძლებლობებით, რომელიც აშშ-ს და ყველა დანარჩენ ევროატლანტიკურ ლომებს სძლევს. რეალურად, 21-ე საუკუნე ჩინეთისაა. ამ ფონზე, სტრატეგიულ პარტნიორობას, მის მხარდაჭერას, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც პირველ რიგში, ჩვენი ეკონომიკური უსაფრთხოების საწინდარია.

რაც შეეხება ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირებას, ბუნებრივია, ეს გაგრძელდება, მაგრამ იქნება თანამშრომლობაც. ტრამპი ამერიკის დიდების დაბრუნებას შეეცდება. აშშ-ს ხელთ დოლარი უჭირავს, რომელიც მსოფლიოში ნომერ პირველი ვალუტაა. თუმცა ეს დაპირისპირება ისეთ ფაზაში არ გადავა, რაშიც ბაიდენმა ნატო, აშშ და რუსეთი გადაიყვანა. ეს ურთიერთობები ჩვენთვის საფრთხის მატარებელი არ არის. ჩვენთვის საფრთხის მატარებელი იყო ის, რასაც ევროპული პოლიტელიტა ცდილობდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები შემოგვეღო, მეორე ფრონტი გაგვეხსნა. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა?! კურსკის ავანტიურის მსგავსი აქაც უნდა განხორციელებულიყო. ეს როლი ამ ფსვდოლიბერალებს საქართველოსთვის უნდოდათ. რით მთავრდება კურსკის ავანტიურა? — ამ ბოროტმა მასხარამ, ხელის ბიჭმა, უკრაინის ჯარის საუკეთესო ნაწილი კურსკში ამოწყვიტა.

**— ფიშერმა განაცხადა, რომ შანსი არ არსებობს, გერმანია საქართველოსთან მოლაპარაკებების გახსნას დასთანხმდესო.**

— ფიშერს თავში ქვა უხლია. გერმანიის მაღალჩინოსნებმა საკუთარ ქვეყანას მიხედონ, ლამისაა, თავზე რომ ენგრევათ, რაც სწორედ ფიშერისნაირების დამსახურებაა. გერმანიის დიდებას შოლცებმა და ბერბოკებმა ბოლო მოუღეს. აი, ეს არის პორნოლიბერალიზმი.

**— ბორელი აცხადებს: მთავრობას დაფინანსებას შევუჩერებთ და ნჯო-ებს გადავცემთო.**

— ვის აინტერესებს, ბორელი რას ფიქრობს. მისმა პოლიტიკამ ევროკავშირი გახრწნა, დაალპო. დიახ, ეს ბორელებმა, მიშელებმა და ფონ დერ ლაიენებმა გააკეთეს. ტრამპმა განაცხადა, რომ ფონ დერ ლაიენთან მიმართებით — „ფაიზერთან" 40-მილიარდიანი ხელშეკრულების გაფორმების საკითხზე გამოძიებას დაიწყებს.

**— ბრიუსელში მინისტერიალი გაიმართა, სადაც საქართველოსთვის ვიზა-ლიბერალიზაციის შეჩერებას, ჩვენი ოპოზიციის მოთხოვნის მიუხედავად, მხარი არ დაუჭირეს.**

— დიახ, მნიშვნელოვანია, რომ უნგრეთთან და სლოვაკეთთან ერთად, უვიზო მიმოსვლის შეჩერებას მხარი არ დაუჭირა არც ბულგარეთმა და არც იტალიამ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ევროკავშირში ბორელობა დამთავრდა. ევროკავშირში საქართველოს საკითხზე მუდმივ მომხსენებლად იუკნევიჩიანე დანიშნეს, თუმცა ბალტიისპირელი მანქურთების, გორბაჩოვის პარტიის წევრების, ბოლშევიკების ბოგინი დამთავრდა. 28 ნოემბერს ახალი რეზოლუციის მიღებას აპირებენ, წერონ და იკითხონ, ეს ვის აინტერესებს?! თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი. გინდ კენჭი უყარონ რეზოლუციას და გინდ აგური. რეზოლუციას რომ მიიღებენ, როგორც ვიცი, ევროკავშირში ქალებისა და მამაკაცების საპირფარეშოები გაერთიანებული აქვთ, ჰოდა, იქ ჩამოკიდონ და იკითხონ.

**— სხვათა შორის, რიკარდ იოზვიაკმაც აღნიშნა, რომ ფართომასშტაბიანი გაყალბების ფაქტები არ არსებობს და ევროკავშირს საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა მოუწევსო.**

— სრულებით არ მაინტერესებს, რას იტყვიან ევროპელები და ამერიკელები. ეს არჩევნები ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოს ისტორიაში. ე.წ. ოპოზიცია სიბინძურეში რომ ზის, იმიტომაც მხარდამჭერი ხუთი კაციც ვერ გამოჰყავთ. 700 ათასმა ამომრჩეველმა ხმა მისცა და ქუჩაში 700 ადამიანიც ვერ გამოიყვანეს, ისეთ გარყვნილებაში ჩაყვეს თავი. ქართველი ხალხი მათ გარყვნილებაში არ ჩაყვება. ეს ხალხი შეიძლება არც ჩემზე გიჟდება და არც „ქართულ ოცნებაზე", მაგრამ ქართველ კაცს არ უნდა, რომ ბიჭი გაუთხოვდეს. საქართველოში ეს არ მოხდება.

**— საქართველოში მალე ევროკავშირის ტექნიკური მისია ჩამოვა...**

— რას ნიშნავს ტექნიკური „მისია", ვინ ეკითხება მაგათ ჩვენს საქმეებში ჩარევას?! ერთი მისია ხომ ჩამოვიდა უკვე და მერე ანტისამთავრობო მიტინგზე ამოყვეს თავი, რითაც ყველა წესი დაარღვიეს. მანამდე, საგარეო საქმეთა მინისტრები ჩამოვიდნენ და გაჰკიოდნენ: მაიდანი მოაწყვეთო. ჩვენ არაფრის გამოძიება არ გვჭირდება. თუ საჭირო გახდა, თავად გამოვიძიებთ. ტექნიკური მისია ევროკავშირს მოახმარონ, სადაც მექრთამე მექრთამეზე ზის. დიახ, გამოიძიონ, რამ გარყვნა ევროკავშირი. მისია, პირიქით ჩვენ უნდა გავგზავნოთ, რომ დავადგინოთ, რამ დაალპო ევროკავშირი.

**— 25 ნოემბერს პარლამენტში პირველი სხდომა გაიმართა.**

— ქართველმა ხალხმა ხელისუფლებას ლეგიტიმაცია მისცა. ოპოზიცია კი ლეგიტიმაციას ქვეყნის გარეთ იღებს. მთავარი ქართველი ხალხის მიერ მინიჭებული ლეგიტიმაცია და ნებაა და არა „აი-რაის" პრეზიდენტის. ისტორია მეორდება, დასაწყისში თუ ტრაგედიაა, განმეორებით უკვე ფარსია. მეტი ფარსი რა გინდათ, ევროკავშირს წერილს რომ გაუგზავნი, ქართველებს უვიზო მიმოსვლა შეუჩერეთო. ისინი იგივე კანდელაკები არიან. ახლა, იგივეს ხაზარაძეები და ბოკუჩავები ითხოვენ. ხაზარაძესგან რა უნდა გაგვიკვირდეს, როცა 9 აპრილს როდიონოვთან ერთად ქართველ ხალხს არბევდა. იგი როდიონოვის თანამებრძოლი და გორბაჩოვის იდეოლოგიის ერთგულია. აი, იმ ხალხის კი ნამდვილად მიკვირს, ვინც მას ხმა მისცა.

**— როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია პარლამენტში შევა?**

— აბა რას იზამს. მათი სალოცავი არის დოლარი, შევლენ კი არა შეცუნცულდებიან. ადრე თქვეს: ვინც პარლამენტში შევა, ყველა პუფი იქნებაო და ბოლოს სუყველა გაპუფდნენ. მერე, მიშას თანამებრძოლმა ბოკუჩავამ და სხვებმა მოითხოვეს: სანამ აქ არ ვიყავით, ის ფულიც აგვინაზღაურეთო. ახლაც იგივე მოხდება. საბაბს იპოვიან: მიშასთვის ასეა საჭიროო, იტყვიან და პარლამენტში შევლენ.

**თამარ შველიძე**







# დავიშალოთო...

## სპეცრეპორტაჟი ჩელიაბინსკიდან

— აბა, ეხლა დავიშალოთ და მოვიფიქროთ რაღაც განსხვავებული, ამაზე დიდი და ამაზე გრძელი რომ იყოს! — მრისხანე „ხარებას“ დანახვაზე სასწრაფოდ უბრძანა შიგ ევროპაში „ვაკის სახალხო რესპუბლიკის“ გავლით გეზაღებულ დემოკრატიის ნორჩ დამცველებს გირჩმა-ჯაფარამ,

— რატომ უნდა დავიშალოთ! ხაზეიკას უკვე დავუცალე ბინა, ვიფიქრე, ერთი თვე არ ვიქნები-მეთქი და ახლა უკან აღარ შემიშვებს! — გააპროტესტა კიკინიანმა აწოწილმა ბიჭმა და აჰყვნენ სხვებიც: არა, არა!

— აბა, რა გინდათ, მოგხვდეთ წარამარა? — შეტრუსული წარბები სიყვარულით აუზიდა თვინიერ ახლგაზრდებს სამშობლოს ბედით დამწვარ-დანახშირებულმა ჯაფარამ.

— ჩვენ დედის ჩუსტის მოხვედრის უფრო გვეშინია, — გამოტყდა ახლადულვაშაკოკრილი ყმაწვილი.

— მოკლედ, ბავშვებო, რაც ჩვენ მოვახერხეთ ამ სამ დღეში, ის არის, რომ პოლიციას არ ეძინა სამი ღამე — მგონია, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამ ადგილას აქცია დავგეგმეთ ჩვენ ისე, რომ სიურპრიზი ყოფილიყო და ამან თავისი შედეგი გამოიღო, ყოველ შემთხვევაში, დღე-ნახევრის განმავლობაში, მინიმუმ, დაბნეულები იყვნენ, — სიამაყით გადახედა გირჩმა ყმაწვილებს.

— ლექციას ლექციაზე ვაცდენდი თქვენი გულისთვის, რომ თქვენ დაგიცვათ, იგივე ფიდბექი, იგივე ემოცია გვჭირდება უკან, რა?! — გულწრფელად ატირდა შიგ ევროპაში მიმავალი სტუდენტი გოგონა.

ტიგრანასი არ იყოს, ვერაფერი გავიგე, მაგრამ ჯიგარი ხარ, ისიდორე ბაბუაო, რომ უთხრა, — ფიდბექი რა არის და სად უკან სჭირდებათ, — ჩემთვისაც გამოუცნობ გამოცანად დარჩა.

გავიხედე და ჭიჭე-კაცი ამბობდა, პირველი ღამე ისეთ სასიამოვნო საუბარში გავატარეთ მე და ნიკა გვარამიამ, იმედია, მეორე უფრო სასიამოვნო იქნებაო. გვარამიას კი ეცინებოდა და მეორე ღამეზეც თავი ისე გადაიქნია, დაეთანხმა, მაგრამ რა აცინებდა, ჭიჭესთან პირველი ღამის გახსენება, თუ მისი სიტყვათა თამაში, ვერც ეგ გავიგე, მე მხოლოდ ის მაგონდებოდა, შალვა ფანჩატურაშვილმა გვარამიას „ეროვნული ბაღლინჯო“ რომ დაარქვა. რა საინტერესოა, ბაღლინჯო რა შუაშია, სისხლისმწოველი იგულისხმა, ნერვებისმწოველი, თუ რა?

— რასა იუკნევიჩიენესთან ერთად გვარამიას სურათი რომ აქვს გადაღებული, ეგ არაფერს გვიშველის? — დაინტერესდა სათვალიანი ბუთხუზა ბიჭი.

— გვიშველის, მაგრამ რამ დაგამახსოვრებინა ეგ გვარი, ან რანაირად ამბობ, ენა არ გერევა? — სამკუთხედად ჩაიღიმა ჭიჭემ.

— არა, მე ენის გასატეხები ლოგოპედმა მასწავლა, — ამაყად უპასუხა ბუთხუზამ.

— ჰოდა, ეგ ქალი ტყუილად კი არ დანიშნეს ევროპარლამენტში საქართველოს საკითხებში მუდმივ მომხსენებლად! — აყვირდა ჭიჭე.

— მაგას პირად ცხოვრებაში არაფერი ჰქონდა მუდმივი და ჩვენ როგორ გვიმუდმივებს? დაიბადა ურბონაიტეს გვარით; პირველ ქმართან გახდა რასტაუსკენე; მეორე ქმართან იუკნევიჩიენე, თანაც გორბაჩოვის დაქალი იყო... — ეჭვი გამოთქვა ბიჭუნამ.

— ეს ვინ არის... მოგზავნილი ხარ? შენი პირადობა მაჩვენე! — თვალები აბრიცა დიდმა მაგისტრმა ჭიჭემ.

ტელეეკრანს გავხედე, იქ ანა დოლიძე უვარდებოდა ტრასაზე მანქანებს და ძლივს აკავებდა წესრიგის დამცველი, ოღონდ, რას გაჰყვიროდა, ვერ გავიგე...

ამ ჭიჭესა და მისი ძმებისას და ანა დოლიძისა და მისი დებისას ხომ ვერაფერს გაიგებ, თუ ღრმად ერუდირებული და შიგ ევროპელი არ ხარ.. წმინდა გიორგის ხსენების დღის ისეთი მოლოცვა გამოაქვეყნა ჭიჭე-შტერმა, წინსწრებით რომ მცოდნოდა, უფრო დაჟინებით მივაჩერდებოდი მის რეაქტიულ ფსიქოზს...



ისევ ჭიჭეს გამოვხედე, რომელიც საკუთარ ფუტურო არარაობა თავს პერსონად ასაღებდა მრავალ ბოიფრენდგერლგამოვლილ ე. წ. ბავშვებთან: ბევრი სვამს კითხვას, რატომ არ ვართ უფრო მეტი? ლეგიტიმური კითხვაა, მაგრამ კარგად გვაქვს გამოკვლეული, რომ ჩვენი მხარდამჭერების უმრავლესობა დასაქმებული ადამიანები არიან.

კეთილი და პატიოსანი! მაშასადამე, თვითონ არიან უსაქმურები და თავიანთ მსგავს უსაქმურებს დაატარებენ წინ და უკან, 12 წელია.

რას ამბობს ჭიჭე-კაცი, რომ ყველანი უსაქმურები იყვნენ და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ორი რევოლუციის მცდელობის შემდეგ დასაქმდნენ? — ხომ გეუბნებით, ამათი ლაპარაკი არ მესმის-მეთქი და გავთავდი ვარაუდებით. აბა, იმას ხომ არ იტყოდა, იმდენჯერ მოვატყუეთ ჩვენივე აღზრდილი „ბავშვები“ და ორთოდოქსი მიშისტებიც კი, რომ ვერანაირი სატყუარათი ვეღარ გამოგვყავს გარეთო.

გამოდით! გამოდით! გამოდით! — იმდენი იყვირეს, ბარემ დაემატებინათ, ახალი წელიაო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს მაინც გამოიტყუებდნენ.

ჭიჭე ხომ იდეების საბადოა და ახალგაზრდები დაარიგა, ყველა თქვენგანმა ორ თქვენ მეგობარს დაურეკეთ და უთხარით, უნივერსიტეტთან გელოდები და ასე მოვახდენთ მობილიზაციასო.

ეტყობა, არ დაუჯერეს, არ დაურეკეს ორ-ორ მეგობარს და დარჩნენ საწყალი ჩემი ძაღლივით, სიკვდილის წინ ბალანი რომ გასცვივდა და აქა-იქლა ჰქონდა შავად ამოჩრილი...

ეს „ოცნებაც“ კარგი ეშმაკი ყოფილა, ჩვენ კიდევ ვბრაზობდით, — თურმე, იმიტომ ჰყავს მთელი ნაცმო სახელმწიფო უწყებების უბეში თბილად ჩასმული, რომ თავიანთიც აქციებზე არ იარონ.

ამ შტერმა ოპოზიციამ თვისიანებს კი არ უნდა უძახოს, გამოდითო, პირიქით უნდა იძახონ და რომ გამოვიშლებით დაუსაქმებელი და თვითდასაქმებული ჩელიაბინსკელები, იმდენნი მაინც ვიქნებით, რომ რუსეთს თუ ვერ ავიღებთ, ლორეტაშირს მაინც დავიბრუნებთ...

აბა, თავისიანები ისე ატარეს წრეზე 12 წელი, რომ ვეღარაფრით დაიყოლიებენ, რაგინდ უძახონ: რა მოხდა, თქვე კაი ხალხო, მოსემ 40 წელი ატარა ებრაელი ხალხი და თანაც უდაბნოში, ჩვენ, აგერ, წალკოტ საქართველოში, შუაგულ თბილისში გატარებთ და უფასოდ გაჭმევთ ნანუკასა და მეგის ლობიანებს, გასმევთ სასურველ სითხეს არჩევანის მიხედვით და კაი კაიფიც არ გაკლიათო.

თქვენ დასცინით და, ბექუშ გრიგორიადისი ყველაზე ნაღდი გამოდგა, სოცქსელში გაილაჯა და დასძახა: „ეგრეა, სირებო! როცა უნდა გემოქმედათ და სხვის აზრებზე იყავით ორიენტირებული, ეხლა ისევ ჩალიჩობთ, მაგრამ ხალხს მობეზრდით ყ...ებო!“ ვატყობ, ბექუშა ერთ-ერთ მურტალ ნაბახუსევზე იმდენს იზამს, მეორე დუმაშიც დაჭრიან...



ჭიჭე ხომ მოწოდებით სტრატეგიც არის, ამიტომ სტრატეგია შეიმუშავა და უშურველად აცნობდა ვაკის სახალხო რესპუბლიკის წევრებს თავდაცვის წესებს: მაგათ, ხომ ვიცით, რომ ჭავლის მანქანები ჰყავთ, ამიტომ, თავი რომ არ დავასველებინოთ და სახლში წასვლამ არ მოგვიწიოს, ვდგებით ზურგით და ვშორდებით იმ მანძილზე, წყლის ჭავლი რომ არ მოგვწვდეს და უკან ასე ვიხევთო. ისინიც იდგნენ თვინიერი ხბოებივით და პირდაღებულები უსმენდნენ, ალბათ, ფიქრობდნენ, ცოტა კიდევ რომ გავიზრდებით, ჭიჭეები ვიქნებით, მაგრამ, აფსუს, ამდენს მაინც ვერ გავქაჩავთო...

ჭიჭე კი ვერ დაცხრა, ბელადომანიის ვნებები წამოუვლიდა ხოლმე დროდადრო: ბევრი მეკითხებით, რას იზამს დასავლეთიო? — როცა ჩვენ ვიზამთ, მერე დასავლეთიც იზამს! — იქუხა ჭიჭემ.

ე ბიჯო, უკვე ქნა იმ დასავლეთმა და ახლა თქვენც ქენით მადლი, ნუ ყინავთ ამ უტოპისტებს ქუჩაში...

სოციალურ ქსელს ჩავხედე და, ვინმე ნენსი ვოლანდი ჩიოდა, ვეღარ ვქაჩავთ, გამოდითო. ვჭყიტე თვალი! მე მხოლოდ კიევში დაბადებულ-გაზრდილი, მაგრამ „ჩელიაბინსკელ“ მწერლად ცნობილი კაცის ნაწარმოების პერსონაჟი „ვოლანდი“ ვიცოდი, ნენსი კიდევ რეიგანის ცოლი და ვიფიქრე, ეს ვინღაა-მეთქი? მხატვარი ყოფილა, ჯგუფ „დაიტოვეს“ ადმინი, რომლის ნახატები ევროკავშირთან მიახლოებას ასახავს. ბუნებით ცნობისმოყვარე ვარ, ამიტომ ჩამოუარე ყველაფერს და რაღაც მუსიკალური ჯგუფი რომ მეგონა, თურმე სადა ვბანაობ, აქციაზე რომ უნდათ ყოფნა, მაგრამ რეგიონებში არიან, იმათი ჯგუფი ყოფილა. იძახა ამანაც, გამოდით, ვეღარ ვქაჩავთო, მაგრამ რას ვერ ქაჩავდნენ, ის ვეღარ დავადგინე, თვალებს, პაპიროზს, თუ სხვა რამეს...

გავჭვრიტე და ყმაწვილი ჟურნალისტი ქალს ეკითხება, ქალბატონო, თქვენ პენსიონერი ხართო? ისიც რა მაგარი შუშურიკა ყოფილა, ქალს ეგრე უნდა ჰკითხო? მაგრამ იმის ჩვენება უნდოდა, რომ აი, პენსიონერებიც არიან აქციაზეო. მიკროფონის ლოგო კარგად ვერ გავარჩიე, „ფორმულას“ წააგავდა — იქ ამბავი ატყდა, კინაღამ მოკლა იმ ქალმა ეს ბიჭი, რამე მიგავს პენსიონერსო? ის „ვიდი“ არ მაქვს, რომ პენსიონერი მიწოდო, რატომ მაყენებ შეურაცხყოფასო. პენსიონერი? — ღმერთმა ნუ ქნასო. ვაჰ, ჩვენი კაი! 60 წლამდე მიღწევა არ უნდა, ნეტავ, იმ ქალს, თუ რა ღმერთმა ნუ ქნას?

ის არ მქონდა მონელებული, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში 3 მილიონ 500 რვაასი ათას 294 ადამიანი ყოფილა რეგისტრირებული და ამათ სულ გადამრიეს!

— ხალხო, 31 წლისა ვარ და ახლა გავიგე, რომ თუ ადუღებულ ლობიოს მიწაში ჩავასხამთ, ერთ-ორ დღეში ის გაზებს გაუშვებს და ბუნებრივ აირს გამოიმუშავებს მიწა — რათ გვინდა რუსეთის ბუნებრივი აირი? — მეტყველებდა სირინოზივით გოგო. შვიდჯერ მოვუსმინე და დაჟინებული მზერით ვუყურებდი, მაგრამ ვერ გავიგე, ხუმრობდა, თუ მართლა ასე დააჯერა ვინმემ.

რა ვიცი, გენაცვალეთ! რომელიღაც აქციიდან შსს-სთან შავად შესუდრული, გაურკვეველი სქესის არსება რომ მივიდა წითელი სან-

13 გვ. →

# სტუდენტმაც და ლექტორმაც უნდა იცოდნენ: უნივერსიტეტი ზნეობრივი სივრცეა



*გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი:*

**— ბატონო გიორგი, განათლების სისტემა სავალალო მდგომარეობაშია, რასაც სტუდენტთა აქციებიც ცხადყოფს. როგორი უნდა იყოს ხელისუფლების გეგმა, რათა განათლების სფეროში გარდამტეხი ძვრები მოხდეს?**

— მთავარია, განათლების სისტემას საფუძვლად ორი მთავარი პრინციპი დაედოს — ეროვნულობა და ზნეობრიობა. მოგეხსენებათ, როცა მე-19 საუკუნეში ეროვნული სასკოლო სისტემა ყალიბდებოდა, იაკობ გოგებაშვილმა და მისმა თაობამ სწორედ ამ ორი პრინციპით იხელმძღვანელეს, რაც ჩვენი განათლების ქვაკუთხედია. იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის დაწყებული გზა უნივერსიტეტში ამავე სულისკვეთების დანერგვით ბრწყინვალედ განაგრძო ივანე ჯავახიშვილმა. ასე რომ, განათლებას საფუძვლად ეროვნულობა და ზნეობრიობა თუ არ დავუბრუნეთ, არაფერი გვეშველება.

ცოტა ხნის წინათ, მწერალი თამაზ ხმალაძე წუხდა იმის თაობაზე, რომ ქართული ენის სკოლის სახელმძღვანელოდან ამოღებულია რაფიელ ერისთავის ლექსი — „სამშობლო ხევსურისა“. როგორ უნდა გავზარდოთ ბავშვი ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთებით, თუ ამ ლექსს არ ვასწავლითო?! ქართული ენის პრობლემებსა და სწავლებაზე თქვენთან ინტერვიუში, „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ხშირად ვსაუბრობ. უკანასკნელ ათწლეულებში ქართული ენა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სკოლაში ქართული ენის გაკვეთილები ცალკე საგნად არ ისწავლებოდა, არც ცალკე სახელმძღვანელო ჰქონდა. შედეგად, ქართულის ცოდნის დონე მინიმალური და ზოგჯერ, კურიოზულიც კი არის იმ ახალგაზრდებში, რომელთაც ხვალინდელი საქართველო უნდა აგვიშენონ. დედაენის უცოდინარი ახალგაზრდა საოცნებო საქართველოს ვერ ამიშენებს. ჩვენ არ ვართ ის ერი, ვისაც შეუძლია დედაენა გვერდზე გადადოს, მეორეხარისხოვნად აქციოს და ქვეყნის კეთილდღეობაზე სხვაგვარად იზრუნოს. ჩვენი ეროვნულობა, ქართველობა სწორედ ქართულ ენაშია. დიახ, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება პირველ ადგილზე თუ არ დავაყენეთ, არაფერი გამოგვივა.

**— გეთანხმებით, თუ გვინდა ერს, ქვეყანას მომავალი ჰქონდეს, განათლებული საზოგადოება უნდა ჰყავდეს. ახალგაზრდებს ზოგადი განათლებაც კი არ აქვთ, ჩატარებული გამოკითხვებით გამოირკვა, რომ მათმა დიდმა ნაწილმა დავით აღმაშენებელი არ იცის, ვინ არის.**

— ეგ მაგალითი არ არის გამონაკლისი: სამი-ოთხი წლის წინ გამოკითხვა ჩავატარე ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებთან, პირველკურსელებთან, რომლებმაც ორიოდე თვის წინათ ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და პრესტიჟულ სასწავლებლებში ჩაირიცხნენ. მათ ასეთი შეკითხვა დავუსვი: რომელ საუკუნეში დაწერა ილია ჭავჭავაძემ პოემა „აჩრდილი“. მეუხერხულა, მათთვის რომ მეკითხა, ილია რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა-მეთქი. სტუდენტების ნახევარზე მეტმა კითხვას სწორად ვერ უპასუხა. დიდმა ნაწილმა მე-7, მე-8, მე-10 საუკუნეები დაასახელა. ამის შესახებ კიდეც დავბეჭდე, მინისტრსაც მოვახსენე, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია...

1918 წლის 26 იანვარს, უნივერსიტეტის გახსნაზე რექტორმა, მსოფლიოში სახელგანთქმულმა ქიმიკოსმა, პეტრე მელიქიშვილმა გაიხსენა, რა უთხრა მას ცნობილმა ავსტრიელმა ენათმეცნიერმა ჰუგო შუხარდტმა: რატომ სწავლობ ქიმიას, ამის სწავლა ხომ სხვებსაც შეუძლიათ, რატომ არ იკვლევ შენს მდიდარ ქართულ ენასო. ამით პ. მელიქიშვილი ამბობდა, საუნივერსიტეტო განათლებაში წინა პლანზე ეროვნული მეცნიერებები უნდა დავაყენოთ და ჩვენი მომავალი განათლებაც ამას უნდა დაეფუძნოსო. დღეს რა ხდება? — ქართული ენა სათანადოდ არ ფასდება. რა ხანია, ამას ვჩივით, მაგრამ კონკრეტულ წინგადადგმულ ნაბიჯებს ვერ ვხედავ.

მოკლედ, აუცილებელია: ერთი მხრივ, ვიბრძოლოთ, რათა სკოლებში ქართულის სწავლება დადგეს ჯეროვან დონეზე და, მეორე მხრივ, სკოლას ის უბედურება უნდა მოვაშოროთ, რასაც მოსწავლის არატრადიციული აღზრდა ჰქვია. არავინ დაიჯეროს, როგორი რეფორმაც უნდა ჩატარდეს ამერიკასა და ევროპაში, ეს ქართველებს ჩვენი ეროვნული, ქართული ენისა თუ ლიტერატურის პატივისცემას გვიკარნახებს. მათ ასეთი ინტერესი არ აქვთ. ეს, უპირველესად, ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს....

აი, ასეთი ვითარებაა: როგორც იცით, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოსწავლეთა შეფასების



საერთაშორისო პროგრამა „პიზას“ კვლევები ტარდება. ათიოდე წლის წინათ 150 გამოკვლეული ქვეყნიდან მშობლიური ენის ცოდნით ბოლო ხუთეულში ვიყავით. წლები გადის და ჩვენი პოზიციები არ იცვლება. მშობლიური ენის ცოდნაში ისეთი ქვეყნები გვისწრებენ, რომელთა სახელწოდებაც კი არ გამიგია. რა კეთდება ამის გამოსასწორებლად? — არაფერი. 2015 წელს სახელმწიფო ენის შესახებ შესანიშნავი კანონი მივიღეთ, რისთვისაც ათწლეულები ვიბრძოდით, მაგრამ კანონი დღემდე არ აღსრულებულა. ჯერ იყო და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნა დააგვიანეს, რაც კანონის აღსრულების მთავარი მექანიზმია. 2017 წელს შეიქმნა, მაგრამ სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა რომ იმუშავოს, სახელმწიფო ენის ეროვნული პროგრამა უნდა არსებობდეს, რაც დღემდე არ შექმნილა. ასე რომ, კანონი გვაქვს, მაგრამ არ სრულდება. არადა, წესით, სახელმწიფო ენის ეროვნულმა პროგრამამ უნდა განსაზღვროს, თუ რა ნაბიჯები გადაიდგას სახელმწიფო ენის სწავლების, შესწავლისა თუ ფუნქციონირების სფეროში... აღნიშნულ დეპარტამენტს ერთი წინადადებაც კი არ შემოუთავაზებია. ამ დროს ჩვენი შეთავაზებები იბლოკება.

**— სწავლების სტანდარტები, რასაც ამერიკა, ევროპა გვთავაზობს, კრიტიკული აზროვნების საშუალებასაც არ იძლევა.**

— კომუნისტების დროს, 1979-81 წლებში, ქართული ენის სწავლება უმაღლესი სასწავლებლების ყველა სპეციალობებზე სავალდებულოდ გამოცხადდა, რაც დიდი მიღწევა იყო. 2005 წელს ლომაია-სააკაშვილის მიერ განხორციელებული „რეფორმის“ შედეგად, ეს გადაწყვეტილება გაუქმდა, რაც დღემდე ვერ აღვადგინეთ. დღეს რა უშლის ხელს მის აღდგენას? — ის, რომ, ვინც ეს გადაწყვეტილება გააუქმეს, დღემდე განათლების სისტემაში არიან და თავიანთ გაფუჭებულ საქმეს იცავენ... მთავარი უბედურება ეს არის. მართალია, როცა დღევანდელი ხელისუფლება ამბობს: ნაცებმა ქვეყანა დაღუპესო, განათლების სისტემაა ამისი ნათელი მაგალითი... ამიტომ, იქნებ, აღვადგინოთ ის, რაც წინა ხელისუფლების დროს წახდა. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში 1979 წლიდან ქართული ენა ყველა ფაკულტეტზე ისწავლებოდა. ავთანდილ არაბულმა მშვენიერი სახელმძღვანელო შეადგინა — „ქართული მეტყველების კულტურა“. 2005 წლიდან ვიბრძვით ამ საგნის აღსადგენად, მაგრამ ამაოდ...

**— ჩვენ აყოლილი ვართ ტენდენციას, რომ უცხოური ყველაფერი კარგია, მათ შორის, განათლებაც და კოპირებულად გადმოგვაქვს, რაც აქ არ მუშაობს. ხომ შეიძლება, ქრთული სწავლების ჩვენი ვარიანტი გვქონდეს?**

— მართალი ბრძანდებით. კი ბატონო, ჩვენ შეგვიძლია ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის სწავლების თავისებურებები სხვისგან გადმოვიღოთ და დავნერგოთ, მაგრამ ქართულს სხვისგან ვერ ვისწავლით. ცნობილი გამოთქმაა, თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო. „დედა ენის“ ახალი სახელმძღვანელო შეადგინეს, სადაც პირველ გაკვეთილზე მოსწავლე „ა“ ასოს სწავლობს აქლემის, აკვარიუმის, არწივის წაკითხვით. და, ეს იმ ქვეყანაში ხდება, სადაც „აი ია“ გვაქვს. „აი ია“-ს იწუნებენ და გვპასუხობენ: ევროპაში, ამერიკაში ასე ისწავლება და ამიტომ მეთოდურად ასე სჯობს სწავლებაო. აშშ-ს, ევროპას „აი ია“-ს პრინციპზე სახელმძღვანელოს აგება არ შეუძლიათ. იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: ჩვენი ენის სიკეთეა, ასეთი სიტყვები რომ მოგვეპოვებაო. იმას ვბაძავთ, რაც ჩვენი ენის ბუნებასთან სიახლოვესაც არ არის. ეს უბედურებაც გვჭირს. ძლივს დავაბრუნეთ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და მავანს ძლივს შევაგნებინეთ, რომ ანბანის შესასწავლად იმაზე უკეთესი არავის არაფერი მოუგონია, რაც პირველ გაკვეთილად „აი ია“-ს შესწავლაა. ევროპაში ასე რომ არ არისო, — გვეუბნებიან... ევროპაში ქართული



9 გვ.

# ერთ დროს ყველაზე ავტორიტეტული პროფესია დღეს გათელილი და განადგურებულია



*გვესაუბრება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი*

**– ბატონო ბონდო, რამდენიმე დღის წინ, საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ის პირველი არხის ჟურნალისტების მიმართ გახშირებულ აგრესიულ თავდასხმებზე საუბრობს და პოლიტიკურ აქტორებს მოუწოდებს, დაიცვან საყოველთაოდ აღიარებული ქცევის ნორმები. უფრო კონკრეტულად, ეს განცხადება თქვენი ჟურნალისტის მიმართ ანა დოლიძის მიერ გამოხატულ აგრესიას ეხება...**

– რასაც ჩვენ ვუყურებთ, ამას გამოხატვის თავისუფლება არ ჰქვია. ტენდენციად ჩამოყალიბდა უკვე, რომ ჟურნალისტები აუცილებლად უნდა ამუნათონ იმ პირობებში, როდესაც პოლიტიკურ პოლარიზაციასთან ერთად მედიაპოლარიზაციაც აშკარად თვალშისაცემია. ამ დროს განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იდეას და ინსტიტუტს. ამიტომ ჩვენი გამოხმაურება, ამ თვალსაზრისით, მოწოდებაა ნებისმიერი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლისთვის, რომ თავშეკავებული იყვნენ ჟურნალისტების მიმართ. მით უფრო, რომ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ კონსტიტუცია იცავს და ასევე, არსებობს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი, რომელიც მკვეთრად განსაზღვრავს ტელევიზიის მუშაობის პრინციპებს.

ფაქტია, რომ მედიასაშუალებები ერთმანეთის წინააღმდეგ არიან განწყობილი და პოლიტიკოსების მხრიდან მათი ინსტრუმენტალიზაცია ძალიან საშიშ ზღვარს უახლოვდება. კონკრეტული მედიასაშუალებისთვის მიუღებელია როგორც მათგან განსხვავებული აზრის მქონე ჟურნალისტები, ასევე ის რესპონდენტები, რომელთაც ისინი იწვევენ. ეს საზოგადოებაში დაპირისპირებას აღრმავებს. რადიკალი პოლიტიკოსებისთვის, რასაკვირველია, ხელსაყრელია ეს დაპირისპირება და, გარკვეულწილად, სარგებლის მომტანიც, რადგან მათი მიზანი ქვეყნის დესტაბილიზაციაა, მაგრამ საზოგადოებისთვის, პოლიტიკური პროცესის დემოკრატიულად განვითარებისთვის, სტაბილურობისთვის, მედიაპლურალიზმისთვის, მედიის ინტერესებისთვის და, მთლიანობაში, თითოეული ჟურნალისტის პროფესიული რეპუტაციისთვის, ეს დამანგრეველია! ამიტომაც ჟურნალისტებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ, როდესაც კონკრეტული პოლიტიკური პარტიების ხელში ინსტრუმენტებად იქცევიან, მაგრამ აქ ძალიან დიდ როლს თამაშობს ფული. ფინანსური რესურსი, ფაქტობრივად, წამლეკავია მედიაინსტიტუტებისთვის. უზარმაზარი ფული იხარჯება კონკრეტული პარტიების მხრიდან მედიის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოსაყენებლად.

როდესაც გვარამია ტელევიზიის გენერალური დირექტორი იყო, აცხადებდა, რომ დიახ, „მთავარი არხი“ არის „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ინსტრუმენტი და ის ღიად გაატარებს „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდას. მეორე მხრივ, ჩვენ მოვისმინეთ „იმედის“ დამფუძნებლის განცხადება, რომ ტელეიმედის მთავარი დანიშნულება არის ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაბრუნდეს ხელისუფლებაში! ამ შემთხვევაში, მე არ ვლაპარაკობ, ვინ მართალია და ვინ - არა. რა თქმა უნდა, „იმედს“ ნეგატიური დამოკიდებულება ექნება იმ პოლიტიკური ძალის მიმართ, რომელმაც, თავის დროზე, დაარბია მათი ტელევიზია, წაართვა მფლობელს, გაუნადგურა ინვენტარი და შემდგომ ის გადააქცია „ნაცმოძრაობის“ რუპორად. ასევე, აქვს მიზანი გვარამიას, რომელიც დაინტერესებულია, რომ დაბრუნდეს და განაგრძოს ის ბარბაროსობა, რასაც სჩადიოდა სააკაშვილის მანიაკალურ ხელისუფლებასთან ერთად. მათი პოზიციები ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად ღრმაა დაპირისპირება, რაც არც თუ ისე შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, რამდენად შორს მიმავალია და რამდენად არსებობს უფრო მეტად გაღრმავების საფრთხე! ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ სხვა ტელევიზიებიც უკვე ამ ფერხულში არიან ჩაბმული. ჩვენ ვხედავთ, ევროპელი პენსიონერების ფულის თაღლითურად მიმთვისებელი კეზერაშვილის დაფუძნებული ტელევიზიიდან რა ნიაღვარი მოდის, ვხედავთ, რას დაემსგავსა „ტვ-პირველი“ მას შემდეგ, რაც იქ ხანდაზმული თაღლითის, ხაზარაძის ინტერესები გაჩნდა. სრულიად ბუნებრივია, რომ მათი დაპირისპირება და აგრესია გადადის საზოგადოებაში, ამიტომ საპროტესტო აქციაზე ჟურნალისტების მუშაობას საფრთხე ექმნება.

**– ბოლო დროს არაერთი შემთხვევა იყო, როცა თავდასხმის შიშით რამდენიმე ტელევიზიამ უარი თქვა აქციის გაშუქებაზე...**

- ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ სხვადასხვა აქციაზე გასული ჟურნალისტები ტელევიზიის საიდენტიფიკაციო ლოგოების გარეშე მუშაობდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ უზარმაზარი საფრთხე არსებობს. რამდენიმე ტელევიზიამ გაიყვანა აქციიდან თავიანთი გადამღები ჯგუფები მათთვის საფრთხის აცილების მიზნით. საინტერესოა, ეს კარგია იმ აქციის ორგანიზატორებისთვის?! - აქციას ხომ იმიტომ მართავ, რომ უფრო ფართო საზოგადოებას გააგებინო შენი მოსაზრება?! როცა ჟურნალისტებზე თავდასხმის გამო მედიასაშუალება უარს ამბობს მის გაშუქებაზე, ამით პოლიტიკური პროცესი არ ზარალდება?!

რაც ჩვენ ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში ვნახეთ, „იმედისა“ და „პოსტივის“ ჟურნალისტების მიმართ, ეს ადასტურებს ფაქტს, რომ ჟურნალისტები არიან სამიზნეები და ამის დაშვება არ შეიძლება! რაც შეეხება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ის არის არა ერთ-ერთი, არამედ ერთადერთი ტელევიზია საქართველოში, რომელიც მიუკერძოებლად აშუქებს მოვლენებს, რომელიც არ არის „მხარე“, მოქმედებს კანონის ფარგლებში, გააჩნია მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და რომლის მიმართაც, უმრავლეს შემთხვევაში, პრეტენზიები არ არსებობს! საქმე ის არის, რომ პოლიტიკოსები, როცა რამე არ მოსწონთ, პრეტენზიებით ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს ან მენეჯმენტს კი არ მიმართავენ, - არა, ან თვითონ ესხმიან თავს ჟურნალისტებს, ანდა აქციის მონაწილეების თავდასხმას ახალისებენ, რაც აბსოლუტურად მიუღებელია!

ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ და საერთაშორისო მისიებმა, ყველა არჩევნებთან დაკავშირებით, რაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარდა, თავის დასკვნაში დაწერეს, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ არის მიუკერძოებელი გამშუქებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ტელევიზია კანონით დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს, მაგრამ როდესაც საზოგადოების აგრესიულად განწყობილი წარმომადგენლები თავს ესხმიან ჟურნალისტებს, თუკი მათ ხელისუფლების მხარდამჭერ ჟურნალისტებად მიიჩნევენ, ამ ფაქტს საერთოდ არ ეხმიანებიან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ხშირად რადიკალების პარტნიორებადაც კი გვევლინებიან. არადა, ძალადობა როგორც პოლიტიკურ, ასევე მედიაველზე, უკვე იმდენად მიუღებელ ფორმებშია გადაზრდილი, რომ მძიმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე ერთი ნაბიჯღა დარჩენილი. შეიძლება რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ეს ინტერესი ჰქონდეს, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო ინტერესი ეს არ არის, არამხოლოდ ქვეყნის შიგნით ხალხის დაპირისპირების გამო, რაც დიდი საფრთხის შემცველია, არამედ ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის თვალსაზრისით!

**– მახსენდება დრო, როცა ტელევიზიები დაპირისპირებულ მხარეებს დებატებში იწვევდნენ. მართალია, ხშირად ეს ლანძღვა-გინებით და ხელჩართული ჩხუბითაც მთავრდებოდა, მაგრამ საზოგადოებას გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას მაინც აძლევდა. ახლა, ალბათ, ძალიან მძიმე სანახაობად გადაიქცეოდა ეს ყველაფერი და ამიტომაც ყველა ტელევიზია თავს არიდებს მსგავს ფორმატს...**

- ეს არ იქნება სანახაობა, ეს იქნება რინგი! ვხედავთ, უკვე როგორი დამოკიდებულებაა საჯარო პირების მიმართ, პოლიტიკოსების მიმართ... მსგავსი ფორმატით ორივე დაპირისპირებული მხარე დარჩება ერთმანეთისგან გალანძღული და საბოლოოდ, ხალხის დიდი ნაწილისთვის ორივე მიუღებელი იქნება. მე ვლაპარაკობ საჯარო პირებზე, ე. წ. ცნობად სახეებზე, რომლებიც ერთმანეთს თავშეუკავებლად ლანძღავენ. ადამიანები ერთმანეთს აღარ უსმენენ და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მოსაზრებების მიუღებლობაზე კი აღარ არის ლაპარაკი, - ერთმანეთის მიუღებლობაა, ერთმანეთის სიძულვილია.

საერთოდ, არც ერთ არხზე აღარ არის დებატები იმიტომ, რომ მმართველ პარტიას და მმართველი პარტიის მხარდამჭერებს არ იწვევენ ოპოზიციურ არხებზე და პირიქით, ე. წ. სამთავრობო არხები არ იწვევენ ოპოზიციის წარმომადგენლებს. თუკი ასეთი შემთხვევები მაინც ხდება, ხშირად თავად რესპონდენტები აცხადებენ უარს. ჩვენ მივედით იქამდე, რომ არსებობს ორი საქართველო, - ერთი მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან აგრესიული, და მეორე, დიდი ნაწილი მოსახლეობისა, რომელიც დაიღალა აგრესიით. ასეთ დროს საერთო პოზიციის ჩამოყალიბება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ვისთან უნდა ჩამოვაყალიბოთ საერთო პოზიცია? პირობითად, მე და ნიკა გვარამია, ან მე და ხაბეიშვილი, მე და ვაშაძე რაზე შეიძლება შევთანხმდეთ? - პრაქტიკულად, ეს შეუძლებელია. და ახლა ეს რომ დიდ პოლიტიკურ განზომილებაში გადავიტანოთ, რაზე შეიძლება შეთანხმდნენ, მაგალითად, „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, ანდა „ქართული ოცნება“ და „ლელო“, როცა ერთმანეთს უმძიმესი ბრალდებებით ებრძვიან?! ამ დაპირისპირებაში დებატების გამართვა არავის სურს!

ძალიან გულდაწყვეტილი ვამბობ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ტელეწამყვანებიც არ არიან მზად არც დებატებისთვის და არც გადაცემების კვალიფიციურად გაძღოლითვის. ვგულისხმობ უპირველესად იმას, რომ გადაცემისთვის არ ემზადებიან, აკეთებენ პირდაპირ პოლიტიკურ განცხადებებს და აშკარად ეტყობათ მიკერძოება, - სახეზე ეტყობათ, ელემენტარულად, და ეს მიუღებელია ნებისმიერი ტელევიზიისთვის! მაგალითად, „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ წამყვანებისგან პოლიტიკურ განცხადებებს ვერასდროს გაიგონებთ, გამორიცხულია, რადგან აქ ყველამ იცის, რომ კანონის ფარგლებში უნდა ჩაჯდეს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიკერძოება!




ჩვენს ქვეყანას დაუსრულებული სიძულვილის უბედურება სჭირს უკვე, რაც აუცილებლად უნდა დასრულდეს, რადგან ქვეყნის განვითარებას ძალიან სჭირდება სტაბილურობა. თუკი მედიამფლობელები ნელ-ნელა მიხვდებიან, რომ უნდა ჩამოშორდნენ აგრესიულ პოლიტიკას, ჩვენი ჟურნალისტები კი სერიოზულ, გონივრულ მსჯელობას დაუთმობენ თავიანთ დროს, ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ქვეყნის მშვიდად განვითარდება და ხალხსაც დაუბრუნდება ნდობა მედიისა და ჟურნალისტების მიმართ. ეს ეტაპები გადალახა სხვადასხვა ქვეყანამ და იმედია, ჩვენც გადავლახავთ.

სამწუხაროა, რომ ერთ დროს ყველაზე ავტორიტეტული პროფესია დღეს უკვე გათელილი და განადგურებულია და ამაში, უპირველესად, დამნაშავეები ვართ ჟურნალისტები. თითოეულმა ჟურნალისტმა უნდა ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა იმის გამო, თუ რას შევუწყვეთ ხელი, ან რას ვერ შევუშალეთ ხელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებით შევძლებთ ჩვენი პროფესიის მიმართ ნდობისა და პატივისცემის დაბრუნებას!

**ნონა ქარქაშაძე**

# სტუდენტმაც და ლექტორმაც უნდა იცოდნენ: უნივერსიტეტი ზნეობრივი სივრცეა

← 7 გვ.

ენა არ არის და იმიტომ. წერისა და მეტყველების ურთიერთმიმართების უზარმაზარი სიკეთე, რაც ჩვენს ენას ახასიათებს, არ არის. ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში წამხედურობა არ გვჭირდება. თავად უნდა გავარჩიოთ, რა ვასწავლოთ და რა — არა.

**— ახალგაზრდობას თავში არაპატრიოტიზმი ჩაუდეს. მათთვის სამშობლო ამერიკა და ევროკავშირია და არა საქართველო. ქართულ ენაზე უკეთ ინგლისურს ფლობენ...**

— 2004 წელს ნაცებმა განათლების სისტემის ისეთი პროექტები შემოგვთავაზეს, სადაც ქართული ენა ჩაწიხლული იყო. განათლების კანონში ამოღებული იყო პუნქტი, რომ სწავლების ენა ქართული უნდა იყოს. დახურეს ყველა რადიო, ტელეგადაცემა, ჟურნალი, რაც ქართულ ენას შეეხებოდა; გააუქმეს ენის პალატაც. განათლების მინისტრის მრჩეველმა გიგი თევზაძემ გარკვევით თქვა: ჩვენი მიზანია, საქართველოში სახელმწიფო ენა ინგლისური იყოსო...

**— ამიტომაც გაიძახიან სტუდენტები, ევროპას გვართმევენ, ევროპული განათლება გვინდაო. თუ იციან, რა არის ეს ევროპული განათლება?**

— საქმე ის არის, რომ უნივერსიტეტი სასწავლო დაწესებულებაა. სტუდენტმა უნდა ისწავლოს, ლექციაზე შემოვიდეს. ლექციის მერე, რაც უნდა, ის აკეთოს. აქციის მონაწილე სტუდენტები სხვებს აგულიანებენ: ქუჩაში გამოდითო. სწავლა არ უნდათ! აი, ეს პრობლემა გვაქვს. ამის წახალისება არ შეიძლება. იმ აქციის შემდეგ უნივერსიტეტში რომ მივედი, გული მომიკვდა, ბაღი ისე იყო დარბეული... სკამები დაამტვრიეს, რითაც გზები ჩახერგეს, ფიცრები მოაცილეს და დაწვეს. მათ არ იციან, რომ ეს უბრალო ბაღი კი არ არის, არამედ პანთეონია — ჩვენი უდიდესი წინაპრების განსასვენებელი ადგილი. სტუდენტი, რომელმაც ეს არ იცის, ხვალინდელ საქართველოს ვერ აშენებს... რომელიღაც პოლიტიკოსი გამოვიდა და პანთეონის დამრბევს და წმინდა საფლავების წამბილწავს გვერდში დგომისთვის მადლობა გადაუხადა. ამგვარ პოლიტიკოსებს კი ქვეყნის მართვაზე აქვთ პრეტენზია... ამიტომ, თუ საგანმანათლებლო სისტემაში მთავარ პრინციპად ეროვნულობა და ზნეობრიობა არ დავაბრუნეთ, განათლება შედეგს ვერ მოგვცემს. არადა, აკაკიმ თქვა: ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებულიო.

სასწაულია, ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი წაბილწეს და ამ შემზარავმა მოვლენამ მშვიდად ჩაიარა. სტურენტები ამაყად გაიძახიან: ეს ჩვენი უნივერსიტეტია და როცა გვინდა შევალთ და როცა გვინდა — გამოვალთო. უნივერსიტეტში ლექციის მოსასმენად უნდა შეხვიდე, ისწავლო და მერე გამობრძანდე. შუაღამეზე მოგინდეს კარების შემტვრევა და იქ შესვლა იმიტომ, რომ თურმე სტუდენტი ხარ, ეს სტუდენტობა არ არის. უნივერსიტეტი უპირველესად ზნეობრივი სივრცეა, სასწავლო დაწესებულებაა და ეს ყველამ უნდა იცოდეს — სტუდენტმაც და ლექტორმაც, პოლიტიკოსმაც და არაპოლიტიკოსმაც....

**— სტუდენტებისთვის საჯარო ლექციები ქუჩაში ტარდება. ასევე, ლექტორები კითხულობენ ლექციას — „საჯარო დაუმორჩილებლობა და ბოიკოტი“.**

— რას ნიშნავს უნივერსიტეტის დაუმორჩილებლობა? ამგვარ მოთხოვნებში ლოგიკას ვერ ვხედავ. სტუდენტების პროტესტის დღეს მეც ვიყავი უნივერსიტეტში, დილის 11 საათიდან 4-მდე ლექციები მქონდა. ლექციას თითო-ოროლა სტუდენტი ესწრება, სხვები გარეთ არიან... რა შედეგს მოგვცემს ეს?. ვინ და რატომ კითხულობს ქუჩაში ლექციას? აუდიტორია რისთვის არსებობს?! თვალს ვადევნებთ სრულ უაზრობას, ყურადღების მისაქცევად რაღაც სისულელეებს იგონებენ, ეს სწავლა არ არის.

კი, ბატონო, სტუდენტიც მოქალაქეა და შეუძლია, პროტესტი გამოხატოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში სწავლა უნდა შეწყდეს. როგორც ამომრჩეველმა, მოქალაქემ დაიცავი შენი ხმა, მაგრამ ეს უნივერსიტეტში სწავლის შეწყვეტის მოთხოვნასთან რა კავშირშია?! მავანნი თავიანთი ბნელი მიზნების მისაღწევად სტუდენტებს და უნივერსიტეტის ავტორიტეტს იყენებენ...

**— გამოსავალი რა არის, რომ სტუდენტი აუდიტორიას დაუბრუნდეს?**

— გამოსავალი ის არის, რომ ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს. ისეთი პოლიტიკა, რომელიც სტუდენტს მოუწოდებს, ლექცია მიატოვოს, ქუჩაში გავიდეს და იქ იყვიროს, ქვეყნის განვითარებას არ წაადგება. სტუდენტმა თავისი საქმე უნდა აკეთოს. ლექტორების ნაწილი, რომელიც სტუდენტებთან ერთად ღამეს ქუჩაში ათევს, დანარჩენებს მოგვიწოდებენ, თქვენი სტუდენტების გვერდით დადექითო. ჯერ სტუდენტი აუდიტორიაში შემობრძანდეს და ჩემი ლექცია მოისმინოს და თუ საჭიროდ მივიჩნევ, მის გვერდით მერე დავდგები. ვიმეორებ, ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს: სტუდენტმაც, ლექტორმაც, პოლიტიკოსმაც. რაც მთავარია, პოლიტიკოსმა სტუდენტს უნდა ასწავლოს, რა არის სიმართლე და რისთვის იბრძოლოს. ვითარება მძიმეა. ახალმა მთავრობამ არჩევის მერე სწორედ ამ პრობლემებზე უნდა იმსჯელოს, როგორ დაიხარჯოს თანხები სწორად, რომ ზოგადად, განათლების სისტემა ფეხზე დადგეს.

**— თქვენ ახსენეთ, ლექტორები სტუდენტებთან ერთად პროტესტს გამოხატავენო. რა მაგალითს აძლევენ ახალ თაობას?**

— თქვენ იცით, რომ ჩვენ ქუჩაში აქციებზე დგომა არ დაგვკლებია, მაგრამ პროტესტი იმ სტუდენტის ხარჯზე, რომელიც ჩემგან ცოდნის მიღებას ელოდება, არასდროს გამომიხატავს. ამის წინათ, ერთმა ლექტორმა გახარებულმა დამირეკა, ლექცია მიცდებაო. ლექტორი, რომელსაც უხარია, ლექცია რომ ცდება, ისეთ სტუდენტს და მოქალაქეს ვერ გაზრდის, როგორიც ხვალინდელ საქართველოს სჭირდება. თუ ლექტორს თავად არ უყვარს ლექცია, საგანი და არ ცდილობს, რომ ეს სიყვარული თავის სტუდენტს გადასდოს, ის ახალ თაობას ვერ გაზრდის...

**— ოპოზიციური ფლანგი აცხადებს, რომ ჯავახიშვილს სწორედ ის უნდოდა, რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება — ცვლილებები და სტუდენტის მიერ თავისუფალი პროტესტის გამოხატვა...**

— ჯავახიშვილს უნდოდა, უნივერსიტეტი ზნეობრივი სივრცე ყოფილიყო და აღეზარდა ეროვნული სულისკვეთების პროფესიონალები. თქვენთან ნათქვამი მაქვს, რომ ის უნივერსიტეტში შესვლისას ქუდს იხდიდა. როცა 1918 წლის შემოდგომაზე ბათუმში ოსმალოები შემოვიდნენ და ეს საფრთხე თბილისსაც დაუდგა, იმჟამინდელმა მთავრობამ ივანე ჯავახიშვილს მიმართა: სწავლა შეწყვიტეთ და უნივერსიტეტი დაკეტეთო. ივ. ჯავახიშვილმა და პ. მელიქიშვილმა საბჭო მოიწვიეს და დადგენილება გამოსცეს, რომელსაც ხელს ცხრა პროფესორი აწერდა. დადგენილებაში ნათქვამი იყო, უნივერსიტეტი არ დაიკეტება, სწავლა არ შეწყდებაო. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ომი იყო მოსალოდნელი. მეტიც, სტუდენტებს, რომელთაც ომში მონაწილეობის გამო ლექციები გაუცდებოდათ, მის ასანაზღაურებლად დამატებითი ლექციები ჩაუტარდებოდათ. ანუ, აქცენტი სწავლაზე კეთდებოდა. დადგენილების ბოლო პუნქტი ასეთი იყო: პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში დავრჩებით და თუ საჭირო იქნება, მას საკუთარი სიცოცხლის ფასად დავიცავთო. აი, ეს უნდოდა ჯავახიშვილს.

**— თევზაძემ განაცხადა: სანამ გვებრძოდით, ჩვენ ახალგაზრდობა წაგართვითო. ამაში რა იგულისხმება?**

— სხვათა შორის, მათ 2005-2006 წლებში ახალგაზრდობის ნაწილი მოისყიდეს. კირკიტაძემ, ბოკერიამ და სხვებმა ათამდე სტუდენტური ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს — სტუდენტებს აფინანსებდნენ და ისინიც მათ ჭკუაზე დადიოდნენ. მერე ზოგი გუბერნატორი გახდა, ზოგი მინისტრის მოადგილე. აი, ამაზე ამბობენ: ახალგაზრდობა წაგართვითო. დიახ, სტუდენტები მოისყიდეს, თავიანთ ჭკუაზე ატარეს, უნივერსიტეტთან დააპირისპირეს. იმდროინდელი ამბები კარგად მახსოვს — სტუდენტები აუდიტორიებში შეცვივდებოდნენ და მაგიდებზე, მერხებზე დარბოდნენ. აი, რა მახსოვს მათ მიერ წართმეული სტუდენტებისგან. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ მათ პოლიტიკურ საქმიანობას წარმატება ჰქონოდა, უნივერსიტეტი არავის ადარდებდა. უზნეობა დანერგეს და ეს უხარიათ და ეამაყებათ.



**— საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ხელახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით აქცია გამართა. ეს რამდენად მართებულია?**

— როგორ შეიძლება ეს მართებულად მივიჩნიოთ. „ილიაუნი“, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ შტაბია — ვინც ნაცების დროს თანამდებობებზე იყვნენ — მინისტრები, პარლამენტარები თუ სხვა, ყველა მანდ არის თავშეყრილი. ეს „ნაცმოძრაობის“ — რატიანების, ნოდიების, წიფურიების, აფრასიძეების უნივერსიტეტია. ისინი „ილიაუნში“ სტუდენტებს თავიანთ პოლიტიკურ იდეებს უნერგავენ. უბედურება ის არის, რომ ამ სტუდენტებმა არ იციან, რისთვის იბრძვიან, რას იცავენ, არც ის, რომ ეს შედეგს არ მოიტანს.

**— რამდენად შესაძლოა, ბათუმის უნივერსიტეტიდან დაწყებული პროტესტი დიდ მოძრაობაში გადაიზარდოს. რა საფრთხეებს ხედავთ ამ მიმართულებით?**

— ვფიქრობ, მთავრობას რომ აირჩევენ, მან შესაბამისი ღონისძიებები უნდა გაატაროს, რათა ეროვნული მეცნიერებები წინა პლანზე წამოსწიოს. თუ განათლების სისტემაში ეროვნული და ზნეობრივი საფუძვლები არ აღდგა, არაფერი გვეშველება. დიახ, მთავარია, ის ღონისძიებები გატარდეს, რაც ჩვენს ეროვნულ და ზნეობრივ ორიენტირებს გამოკვეთს. რამ მისცა ბიძგი იაკობ გოგებაშვილს და სხვებს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეექმნათ? რატომ აღმოჩნდა ეს იმგვარად წარმატებული, რომ გვირგვინად უნივერსიტეტი დაედგა? — იმიტომ, რომ ეროვნულობა და ზნეობრიობა იყო მთავარი. ჩვენ ორივეს ვკარგავთ და თუ ასე გაგრძელდა, ნაცები მიზანს მიაღწევენ, ეს კი არ უნდა დავუშვათ.




**თამარ შველიძე**

# პოლიტიკური ნებით ყველა პრობლემა მოგვარებადია



*გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე:*

**— ქალბატონო თამარ, აფხაზეთში დაძაბული ვითარებაა, რის ფონზეც საქართველოს პრეზიდენტმა მხარი აფხაზეთის რადიკალურ ოპოზიციას დაუჭირა...**

— ზოგადად, სალომე ზურაბიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის დღის წესრიგს სცდება. იგი საქართველოსთვის დამაზიანებელ პოლიტიკას ეწევა. რაც შეეხება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, ჩემი აზრით, ეს იმის გამოძახილია, რაც საერთაშორისო ასპარეზზეც ხდება. ოპოზიციის მოთხოვნა საინვესტიციო კანონის გაუქმება იყო, რომელიც რუსეთის მოქალაქეებისთვის და, მათ შორის, ქართველებისთვის მიწის მიყიდვას ითვალისწინებდა. ოღონდ, ამაზე კულისებს მიღმა საუბრობენ. ვერ გეტყვით, რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო ზურაბიშვილის მხრიდან აფხაზეთის რადიკალური ოპოზიციის მხარდაჭერა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ის პოზიცია, რასაც პრეზიდენტი და ჩვენი ოპოზიცია მხარს უჭერს, ქართველების ინტერესებში ნამდვილად არ ჯდება და ვითარების ესკალაციაზეა გამიზნული. ანუ, ოპოზიციის და პრეზიდენტის ქმედებები, ქვეყნის კეთილდღეობას არ ემსახურება.

დღეს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარებით, თავად რუსეთიც დაინტერესებულია. აგერ, ყარაბაღის პრობლემა, გარკვეულწილად, მოგვარდა. მსხვილი ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად აუცილებელია, რეგიონში სიმშვიდე იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროექტები ვერ განხორციელდება. მოგეხსენებათ, აღნიშნულ პროექტებში ჩართულია ჩინეთი. ჩნდება შეკითხვა: ვის არ აწყობს აქ ამ პროექტების განხორციელება? პასუხი მარტივია — აშშ-ს დღევანდელ ადმინისტრაციას. ტრამპს, ალბათ, სხვა განწყობები ექნება. თუმცა, ჩინეთთან მიმართებით ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ იგი ე. წ. ამერიკის ჰეგემონიის პოტენციური ჩელენჯერია.

**— ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირების ფონზე კავკასიაში ამ უკანასკნელის ფეხის მოკიდების სურვილს ტრამპი როგორ შეხვდება?**

— „ერთი სარტყელი — ერთი გზის“ პროექტი, ფაქტობრივად, ჩინური ეკონომიკური დომინირების ფორმულაა. ბუნებრივია, ამერიკის გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ეს პროექტი მისთვის სასურველი ვერ იქნება. თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ კონფრონტაცია უფრო მეტად წყნარი ოკეანის ზონაში იქნება — ამერიკას იქაური გასაღების ბაზრები და სიმძიმის ცენტრის იქით გადატანა სჭირდება.

ჩვენთან მიმართებას რაც შეეხება, ტრამპი ჯერ კიდევ წინა პრეზიდენტობის დროს აცხადებდა, რომ ამერიკამ ამ რეგიონში უამრავი ტრილიონი დახარჯა, მაგრამ შედეგი უარყოფითი იყო. იგი, როგორც ბიზნესმენი, ყველაფერს ისე უდგება და პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე მოქმედებს. ისიც საკითხავია, როგორ დალაგდება ამერიკისა და ევროპის ურთიერთობები.

**— ადგურ არძინბამ აღნიშნა, რომ თბილისიდან შერიგების სიგნალები მისდით. აქვე, ამბობს, რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი აფხაზეთში უცხოურ ინვესტიციებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის და ამიტომ ურთიერთობების მოგვარება ამ კანონის გაუქმებით უნდა დაიწყონ...**

— პირადად მე პოზიტიურად მიმაჩნია რუსეთის განცხადება იმის თაობაზე, რომ ის მხარეებს შორის დიალოგს მიესალმება და ამას ხელს შეუწყობს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ყინული დაძრულია. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დღევანდელი დღის წესრიგი კონფლიქტების დარეგულირებას ითხოვს. ეს კანონი რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს, ყველაფერი მოლაპარაკების საგანია. იგივე, ტერიტორიული მოწყობა, ურთიერთობები. ქვეყნებს როგორც აწყობთ, ყველაფერს ისე აკეთებენ. ყველაზე მეტად პოლიტიკის ასეთი განსაზღვრება მიყვარს — ეს შესაძლებლობების ხელოვნებაა. თუ პოლიტიკური ნება იქნება, ყველაფერი მოგვარებადია. იმიტომ, რომ მანამდე რუსეთს სხვა გზა არ ჰქონდა და ვითარებას კონფლიქტების საშუალებით მართავდა. პოლიტიკაში ასეთი გაგება არსებობს, როცა სიტუაციებს კონფლიქტების საშუალებით მართავ. ახლა დადგა დრო, როცა რეგიონში აღნიშნული კონფლიქტური სიტუაციები არავის აწყობს. ამიტომ კონსტრუქციული მოლაპარაკებები უნდა შედგეს და მხარეები გარკვეულ საკითხებზე შეთანხმდნენ. აი, სწორედ აქ არის საქართველოს მხარის პოზიცია მნიშვნელოვანი. თავად ქართველებმა შესაძლოა, მხარეებს ისეთი მატრიცა, პროექტი შესთავაზონ, რაც ყველას აწყობს. თუ როგორ ივაჭრებს საქართველო, ამაზე ბევრწილად ჩვენი ქვეყნის მომავალია დამოკიდებული.

**— ბჟანიას გადადგომა რას მოასწავებს საქართველოსთვის?**

— თუ აღმოჩნდება, რომ ბჟანია საქართველოს სასარგებლოდ იქცეოდა, ეს ჩვენთვის კარგი არ იქნება. თანაც გააჩნია, ვინ მოვა სათავეში. რამდენადაც ვიცი, მას ახალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს და კიდეც აპირებს ამას. ჩემი აზრით, აფხაზებისთვისაც და ქართველებისთვისაც ის კანდიდატურა იქნება კარგი, ვინც ჩვენ შორის კონსტრუქციულ დიალოგს საფუძველს დაუდებს.

**— ქალბატონო თამარ, სააკაშვილმა განაცხადა, შესაძლოა, დასავლეთმა საქართველოს ზურგი აქციოს და მისი სიმპატიები აფხაზეთისკენ გადაიხაროსო. ეს რაზე მიანიშნებს?**

— ეს, შესაძლოა, შემდეგზე მიანიშნებდეს — აქამდე არაღიარების პოლიტიკას ვისმენდით და ახლა, შესაძლოა, დასავლეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს. ალბათ, სააკაშვილმა ეს იგულისხმა.

**— სააკაშვილმა აფხაზეთის გამარჯვების საფრთხეზეც ისაუბრა. მისი თქმით, წარმატებული ბრძოლით აფხაზებმა შეიძლება დასავლეთის სიმპატია მოიპოვონ. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება, დასავლეთის სიმპატია აფხაზეთის მიმართ, საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს?**

— ჩვენი პრაგმატული, ეროვნული უსაფრთხოების მიზნით გატარებული პოლიტიკა ევროპას არ აწყობს. ისინი გვთავაზობენ დღის წესრიგს, რაც საქართველოსთვის ხელსაყრელი არ არის. ამიტომ სააკაშვილიც, ზურაბიშვილიც და ჩვენი ოპოზიციაც ქართულ თამაშს კი არ თამაშობენ, დასავლეთის პოზიციიდან გველაპარაკებიან. სააკაშვილი არც თავის დროზე გამოირჩეოდა ეროვნული ინტერესების დაცვით, მან ქვეყანა ომამდე მიიყვანა და მისი განცხადებები საქართველოს საკეთილდღეოდ არც ახლა არის გამიზნული.




**— სხვათა შორის, 28 ნოემბერს ევროკავშირი მიიღებს რეზოლუციას, რომელშიც მიშას გათავისუფლების მოთხოვნაც არის დაყენებული...**

— განა, ყოველივე ჯდება ქართველი ხალხის ინტერესში? იმის მაგივრად, რომ სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმის შეფასება მოხდეს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, რას გვთავაზობენ ევროპარლამენტარები? — გავათავისუფლოთ ადამიანი, რომელსაც ქართულმა მართლმსაჯულებამ პატიმრობა მიუსაჯა. ეს ჰაერიდან ხომ არ მოდის. მე რომ მკითხოთ, ძალიან ბევრი საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ სააკაშვილს ბრალი კიდევ უფრო დაუმძიმდეს.



**— დავუბრუნდეთ აფხაზეთის თემას. როგორც იცით, საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ჩვენი კურსი არის ევროინტეგრაცია. ადგურ არძინბა აცხადებს, რომ საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზება მარტივი ნაბიჯით — ისტორიული და ფაქტობრივი რეალობის აღიარებით უნდა დავიწყოთ...**

— ევროინტეგრაციის კურსის კონსტიტუციით განსაზღვრა აბსოლუტურად უპრეცედენტო რამ არის. ნებისმიერი დასავლური, თეორიული წყარო რომ ავიღოთ, ყველა, კონსტიტუციაში ასეთი მუხლების არსებობის წინააღმდეგია. იმიტომ, რომ საერთაშორისო არენაზე პროცესები ძალიან დინამიკურად, სწრაფად იცვლება. გარკვეულწილად, ესეც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დივერსიაა, როდესაც გეუბნებიან, რომ, რაც უნდა მოხდეს, ეს კურსი უნდა შეინარჩუნო. ეს არ ჯდება იგივე, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ლორდ პალმერსტონის სიტყვებში: ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, არამედ აქვს მუდმივი ინტერესები. ასე რომ, ალბათ, ესეც უნდა გადაიხედოს.

**— ზოგადად, ვინ დგას ამ პროცესების უკან, რაც აფხაზეთში ხდება?**

— ახლა თანამედროვე პოლიტიკური პროცესები ისე მიმდინარეობს, რომ მათში ძალიან ბევრი აქტორი მონაწილეობს. ადრე, მაგალითად, მარტო სახელმწიფოები იყვნენ, ახლა იმდენი აქტორია ჩართული, იგივე, სპეცსამსახურები, რომ კაცმა არ იცის, ვის რა აწყობს. მაგრამ ერთი რამ უდავოა — რეგიონში მშვიდობა უნდა შენარჩუნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი საფრთხე არსებობს, რადგან ბევრი აქტორი დაინტერესებულია იმით, რომ აქ სიტუაცია დაიძაბოს და ის პროექტები არ განხორციელდეს, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა რეგიონში ვითარების ესკალაცია არ დავუშვათ.

**— ქალბატონო თამარ, მალე ამერიკას ახალი პრეზიდენტი ეყოლება. მისი ლოზუნგია, რომ ომებს კი არ დაიწყებს, დაამთავრებს. თუმცა, ტრამპმა აღნიშნა, თუ პუტინი მოლაპარაკებებს არ დათანხმდება, უკრაინას იმაზე მეტ იარაღს მიაწვდის, ჯერ არავისგან რომ არ მიუღია...**

— ტრამპის ინაუგურაციამდე ჯერ ორი თვეა დარჩენილი. მანამდე, ყველამ ვნახეთ, რა გადაწყვეტილება მიიღო ბაიდენის ადმინისტრაციამ, რამაც ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. ასე რომ, ტრამპი როგორ მივა თავისი პრეზიდენტობის განხორციელების ვადამდე, ცალკე საკითხია. ორი თვე დიდი დროა იმისთვის, რომ სიტუაცია შეიცვალოს. ვითარება რთულია, პროცესები ესკალაციისკენ მიდის.

**— ერდოღანმა განაცხადა, ომი გავყინოთო...**

— ომის გაყინვა რუსეთს არ აწყობს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ეს მუდმივი, პოტენციური ცხელი წერტილი იქნება.

**— ბოლოს, საქართველოში მიმდინარე პროცესებსაც შევეხოთ...**

— ის, რაც ახლა ხდება, ყურით მოთრეული პრობლემებია. საქართველოში არჩევნებმა გაცილებით უკეთ ჩაიარა, ვიდრე ბევრ იმ ქვეყანაში, სადაც დასავლეთმა ლეგიტიმურობა აღიარა. ასეთი ორმაგი სტანდარტები, საქართველოს მოსახლეობაში უარყოფით განწყობებს იწვევს. პროცესები ხელოვნურად არის ინსპირირებული. ქვეყნის გარედან მიღებული დირექტივების თანახმად, ახალგაზრდა თაობას იყენებენ, რომელიც ყველაზე პასიონარული, მაგრამ ადვილად მართვადია. თუ პროვოკაცია არ მოაწყვეს, ისე მათ გამოსვლებს რეზონანსი და მომავალი ვერ ექნება და მათ გეგმას განხორციელება არ უწერია. მე რომ მკითხოთ, „ქართულ ოცნებას“ უფრო მაღალი პროცენტი უნდა მიეღო.

**თამარ შველიძე**

# ზელენსკი ამერიკისთვის მალე აუტსაიდერი გახდება



*გვესაუბრება ფსიქოლოგი, კომპანია DMS-ის დირექტორი მარიამ მაისურაძე*

**- სამყარო, ფაქტობრივად, ბირთვული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, ზელენსკიმ ბაიდენის დავალება პირნათლად შეასრულა და რუსეთის წინააღმდეგ ბირთვული რაკეტები გაუშვა, რასაც პუტინის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთ-უკრაინას შორის და უნდა ველოდოთ თუ არა ბირთვულ აფეთქებას?**

- მე მგონია, რომ ეს იყო წინასწარ განზრახული ქმედება აშშ-ის მხრიდან, იქიდან გამომდინარე, რომ საბოლოო ჯამში, მათ უნდოდათ დაეძაბათ სიტუაცია უკრაინასა და რუსეთს შორის. ახლა უკვე ბაიდენის ადმინისტრაცია იცვლება და რუსეთს მოუწევს, რომ პასუხი მოსთხოვოს ზელენსკის და აშშ-ის ახალ მთავრობას, რასაც აზრი არ ექნება. ამას სათავისოდ გამოიყენებს აშშ, რადგან ვიცით, რომ, როდესაც პარტიები ცვლიან ერთმანეთს აშშ-ის სათავეში, ისინი ცვლიან ხოლმე ძირითად პოლიტიკას და დამოკიდებულებებს ყველაფრის მიმართ. შესაბამისად, ბაიდენმა წასვლის დროს გააკეთა ეს უკანასკნელი სვლა, რომ, როცა უკვე შეიცვლება ადმინისტრაცია, აშშ მაქსიმალურად აირიდებს პასუხისმგებლობას. ახალი ხელისუფლება იტყვის, რომ ბაიდენი არასწორად მოქმედებდა, მაგრამ ახალ ადმინისტრაციას შეუძლია, ახალი მოლაპარაკებები აწარმოოს.

რაც შეეხება ზელენსკის, - რუსეთსა და უკრაინას სახელმწიფოების დონეზე ჰქონდათ მრავალწლიანი ინტენსიური და ახლო ურთიერთობა, რაც ზელენსკიზე მაღლა დგას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ რუსეთი მალე ეცდება, სიტუაციის დეესკალაციისკენ წაიყვანოს საქმე, რადგან ის მაქსიმალურად ერიდება რადიკალური გზების გამოყენებას. იმის გამო, რომ პიროვნებამ, რომელიც უკრაინის სათავეში დგას, უკვე არაერთხელ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, უკრაინის მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიძლება საერთოდაც აღარ უჭერდეს მხარს ზელენსკის. ამიტომაც ვფიქრობ, რომ რუსეთი, ისევე, როგორც დონალდ ტრამპი, შეეცდება სიტუაციის დეესკალაციას შეუწყოს ხელი. ზელენსკი კი აშშ-სთვის აუტსაიდერი გახდება, რადგან, იმის მიუხედავად, რომ მალე თეთრ სახლში ტრამპი შევა, მან მაინც ბაიდენის მითითებაზე გააკეთა არჩევანი. მსგავსი გადაწყვეტილებით ზელენსკი მთლიანად გაიფუჭებს ტრამპთან ურთიერთობას.

**- რა არის იმის მიზეზი, რომ, როგორც აღნიშნეთ, რუსეთი რადიკალური ზომების გატარებას ერიდება, მეტად ჰუმანური გახდა ეს დამპყრობელი ქვეყანა თუ კონკრეტული გათვლები აქვს სამომავლოდ?**

- ჰუმანურობა აქ არაფერ შუაშია. იმისათვის, რომ რუსეთმა თავისი ინტერესების მაქსიმუმი განახორციელოს, სჭირდება გავლენები. მას არ სჭირდება უკრაინის ცარიელი მიწა, ეს რუსეთისთვის ვერანაირად ვერ იქნება მომგებიანი. აშშ და რუსეთი, ეს ორი გიგანტი სახელმწიფო გავლენებისთვის იბრძვის და ასე ვთქვათ, მათ არ სჭირდებათ სრულიად განადგურებული ვასალი. მათ სჭირდებათ ვასალი, რომელსაც აკონტროლებენ და ექნებათ მასთან საქმიანი ურთიერთობები. რუსეთს არანაირად არ აძლევს ხელს ის ფაქტორი, რომ ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის განადგურებას შეუწყოს ხელი, რადგან შემდგომ უკვე, ევროპის რეგიონში და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ეს მას ხელს შეუშლის. რუსეთი ისევ გამოჩნდება, როგორც სასტიკი სახელმწიფო, რომელიც მუდმივად ძალადობაზეა ორიენტირებული და ყველა ის ქვეყანა, რომელიც შეიძლება ამჟამად მასთან გარკვეულ ურთიერთობაზე თანახმაა, უარს იტყვის რუსეთთან თანამშრომლობაზე, ამ შიშიდან გამომდინარე! ამიტომ ეს არის სწორი გათვლა, რაც რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარეობს და არა ჰუმანურობიდან და ეს არის შემთხვევა, როდესაც რუსეთისა და უკრაინის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, რადგან ქვეყნის განადგურებამდე მისვლა არცერთის ინტერესებში არ შედის.

**- მაინც რას ელოდება პუტინი ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან, როგორ გაგრძელდება მათი თანამშრომლობა?**

- მას შემდეგ, რაც ტრამპი თეთრ სახლში შევა და პრეზიდენტის სავარძელს დაიკავებს, ის უკვე ორიენტირებული იქნება თავისი გავლენების დაბრუნებაზე, რომ დაიბრუნოს ის პოზიცია, რაც აშშ-ს ბაიდენის ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰქონდა. ის, ფაქტობრივად, მთლიანად იყო ჩარეული ევროპის რეგიონის შიდა თუ გარე ურთიერთობებში. მსგავსმა გავლენამ ევროპის რეგიონს ბაიდენის დროს მრავალი პრობლემა შეუქმნა. აქედან გამომდინარე, ევროპამ დაიწყო ჩამოშორება აშშ-ისგან და აღიარა კიდეც, რომ მას ნომერ პირველ ეკონომიკურ პარტნიორად აღარ მიიჩნევს და ჩინეთთან პარტნიორული ურთიერთობა სურს. აშშ-ის მთავარი ინტერესი, დღესდღეობით, იქნება იმ გავლენების დაბრუნება, რომელიც ჰქონდა, რის გამოც მოუწევს მას ხისტი პოლიტიკის დათმობა, გარკვეული შეცდომების აღიარება, გადატვირთვის რეჟიმის ჩართვა და თავის ახლებურად წარმოჩენა.

ზუსტად ამას ემსახურებოდა, რეალურად, ბაიდენის შეცვლა ტრამპით, რადგან ტრამპი არის სრულიად განსხვავებული პიროვნება. შეიძლება ითქვას, რომ ახლა მთელ რიგ შეცდომებზე ხელი შეეწმინდება წინა მთავრობას, ახალი მთავრობა იტყვის, რომ ის სხვა პოლიტიკით მოდის და შეუძლიათ, სხვანაირი ურთიერთობები ჰქონდეთ პარტნიორ ქვეყნებთან, ამიტომ ამ გადატვირთვის რეჟიმს აშშ ახალი პოლიტიკის წარმოებისთვის გამოიყენებს და რუსეთთანაც დაიწყებს მოლაპარაკებას.

ევროპამ, გამოცდილებიდან გამომდინარე, ნახა, რომ ამერიკის უხეში ჩარევით ძალიან სერიოზული ზარალი მიიღო, მათ შორის - ომი რეგიონში უკრაინის ტერიტორიაზე, ამიტომ ამერიკის ხელისუფლებას დასჭირდება მიზეზი იმის ასახსნელად, თუ რატომ უნდა ენდოს ევროპის რეგიონი ისევ აშშ-ს! აქედან გამომდინარე, მათი რეპუტაციისთვის მომგებიანი იქნება მოლაპარაკებები პუტინთან და ზელენსკისთან. ეს იქნება ძალიან დიდი კოზირი იმისათვის, რომ ამერიკამ კვლავ თავისი ძალაუფლების აღიარება მოიპოვოს და ამაყად განაცხადოს, რომ ისეთი კონფლიქტი შეაჩერა, რაც აქამდე ვერავინ მოახერხა. ტრამპის მთავარი დაპირებაც საარჩევნო პერიოდში, სწორედ ეს იყო.

**- როგორც ჩანს, ბაიდენის ადმინისტრაციამ თავისი არსებობის მიწურულს ამიტომაც მისცა ზელენსკის დავალება, რომ სიტუაცია გაემწვავებინა და ტრამპს თავისი დანაპირების შესრულება გასჭირვებოდა...**

- რა თქმა უნდა, ეს იყო გამიზნული ნაბიჯი ბაიდენის მხრიდან. მე მაინც ვფიქრობ, რომ სიტუაციის ბოლომდე დაძაბვა ბაიდენის ადმინისტრაციისთვის საინტერესო იყო, ამით შეიძლებოდა რუსეთისთვის სიტუაცია გაემწვავებინათ, რადგან მას მოუწევდა უფრო მეტი ძალადობრივი მეთოდების გამოყენება. თუ ძალიან დაიძაბებოდა სიტუაცია, ტრამპის ადმინისტრაცია აბსოლუტურად სხვა ტაქტიკით გააგრძელებდა მოქმედებას და რუსეთი თვითონ გაიფუჭებდა სახელს, რის გამოც ჩაიშლებოდა ევროპის მოლაპარაკებები რუსეთთან და ჩინეთთან. რუსეთი კი იძულებილი გახდებოდა, კვლავ აშშ-ს მიკედლებოდა. ამიტომ ტრამპს არ დასჭირდებოდა კონფლიქტის მოგვარება იმისათვის, რომ ახალი სახელი დაემკვიდრებინა რეგიონში. თუმცა, თუ არ გაამართლებს ბაიდენის ნაბიჯი, ამ შემთხვევაში ტრამპს მოუწევს ძალიან ნელი პოლიტიკის დაგეგმვა, რაც დიდ დროს წაიღებს, რომ აშშ-მა ისევ მოიპოვოს გავლენები ევროპის რეგიონში.

საგულისხმოა, რომ აშშ-ს რეალურად მართავენ კორპორაციები. აქედან გამომდინარე, ერთი და მეორე მთავრობაც ჯამში, ერთი რგოლის ინტერესებს ემსახურება. უბრალოდ, გადატვირთვის საშუალება აქვთ ხოლმე მთავრობის ცვლილებით, რომ წინა მთავრობის შეცდომების გათვალისწინებით განაგრძონ ახალი სვლები.

კონკრეტულ შემთხვევაში, ტრამპსა და პუტინის აქვთ ერთი და იგივე ინტერესი - გავლენები ევროპის რეგიონში. უბრალოდ, მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ტაქტიკა იქნება გამოყენებული.

**- გადატვირთვის პოლიტიკა ახსენეთ, რის გამოყენებასაც ამჯერად ჩვენი ხელისუფლება აპირებს აშშ-სა და ევროპის რიგ ქვეყნებთან მიმართებაში. რა იგულისხმება ამაში?**

- ზოგადად, გადატვირთვის პოლიტიკისთვის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა მთავრობის ცვლილება, რათა წინარე გამოცდილების საფუძველზე ახალმა მთავრობამ ახალი ტაქტიკით განაგრძოს მუშაობა; მაქსიმალურად აღმოფხვრას შეცდომების ნაწილი და განაგრძოს პოზიტიური ნაწილი, რომელიც ჰქონდა წინა მთავრობას. საქართველოს შემთხვევაში, გადატვირთვის პოლიტიკა შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა მოქმედ მთავრობას ჩაანაცვლებს სხვა პოლიტიკური ძალა, ოღონდ, ამ შემთხვევაში, არსებული ოპოზიცია არ იგულისხმება!

**- თუ ასეა, საქართველოს კონსტრუქციული ოპოზიცია, ალბათ, ჯერ კიდევ არ ეყოლება და არც ღირსეული ძალა ჩანს, ჯერჯერობით, ვინც სამომავლოდ ხელისუფლების ჩანაცვლებას შეძლებს. რაღაც რთული აღმოჩნდა მათი მოძიება ქართულ რეალობაში...**

- დიახ, ასეა. ამ საკითხის მოგვარება დამოკიდებულია შესაბამისი ძალის გამოჩენაზე სამომავლოდ, რომელსაც ექნება მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან. სამწუხაროდ, ოპოზიციაში მსგავსი ძალა არ მეგულება. ოპოზიცია კოლექტიური სახით გვაქვს დღესდღეობით წარმოდგენილი, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ინტერესებს ემსახურებიან. თუმცა მეგულება ცალკეული პიროვნებები, ღირსეული ადამიანები, რომლებიც არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ წარმოადგენენ და რომლებიც, ჩემი აზრით, საინტერესო კოალიციას შექმნიან, თუკი გაერთიანდებიან. გაერთიანებას კი სჭირდება სერიოზული რესურსი, რისი მოპოვებაც, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ფასეულობების დათმობასთან არის ასოცირებული, რადგან იშვიათად ემთხვევა დამფინანსებლის ინტერესები კოლექტივის ინტერესებს.

ვფიქრობ, ხელისუფლების ჩასანაცვლებლად სამომავლოდ ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება მოსახლეობის შიგნიდან მოსული ძალა, რომლის ინტერესიც დაემთხვევა დამფინანსებლის ინტერესებს. ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მოსახლეობის ნდობის მოპოვება იმ დონეზე, რომ შეძლონ დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის სტაგნაციიდან გამოყვანა. დღესდღეობით, ჩვენს ქვეყანაში, არჩევანი კეთდება მხოლოდ მშვიდობასა და სტაბილურობას, ომსა და დესტაბილიზაციას შორის, რაც, შესაბამისად, არის „ქართული ოცნება“ და კოლექტიური ნაცმოძრაობა. სხვა არჩევანი არ გვაქვს, პოლიტიკური ძალა, რომელიც ხალხს მართლა მოსწონს - არ არსებობს!



**ნონა ქარქაშაძე**

**სოციალურმა ქსელმა ფბ-მა 2022 წლის 8 აპრილს დაწერილი ჩემი აზრები შემახსენა, რომელიც გაზიარებულია აუდიტორიასთან საჯაროდ.**

**ვერაფრით ვიხსენებ, რა ამოვიღე საგაზეთო წერილიდან, ან რა ვიცოდი ცალკეული პირების გარყვნილების შესახებ; ან ვინ იყვნენ ეს პირები — რაზე ვსაუბრობ საერთოდ. ან რა ვითარება იყო, რომ ცხონებულმა ვახტანგ ხარჩილავამ „საერთო გაზეთში“ დამიბეჭდა. ფბ-ს რომ არ შეეხსენებინა, სრულებით არ მახსოვდა, მსგავსი რამ თუ დავწერე. ვინაიდან ვერაფრით ვხვდები, რომელი წელი შეიძლება ყოფილიყო, იმდენი დასაკარგი დრო არ მაქვს, რომ არქივს ჩავუჯდე და ვეძებო, ამიტომ, მხოლოდ იმას გთავაზობთ, რაც ხელთ შემრჩა.**

**ვინაიდან კახა ბენდუქიძე უკვე გარდაცვლილია, ამის შემდგომი პერიოდია, როცა მაიდანი უკვე მომხდარია, ვოლოდიმირ ზელენსკი რომ გრამაფონშია და მიხელ სააკაშვილი საქართველოს მოქალაქეობას ჯერ კიდევ არ უარჰყოფს.**

**უკრაინის უახლოესი მომავალი ნათელმხილველივით ბეჭედდასმულად კი მიწინასწარმეტყველებია...**

**ერთგვარად საინტერესოდ მეჩვენა იმის გახსენება, რა ვითარება იყო იმ დროს და რაზე ხალისობდნენ საქართველოში...**

**მაია ჭელიძე**
**8 აპრილი 2022**
**გაზიარებულია აუდიტორიასთან „საჯარო“**

**ამდენი წლის წინათ, სარკაზმულად დაწერილში (გაზეთში), როცა უკრაინა საით იყო და რა ხდებოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა ბევრს... სრულიად შემთხვევით გადავაწყდი ამ დილას...**

**(საგაზეთო წერილის შემოკლებული ვარიანტი ფბ-სთვის)**

# მე - ნათელმხილველი

გასულ კვირას ის ბოთლი შეანჯღრიეს, რომელშიც ჯინი ზის. სამხედრო მიმოხილვას არ ვაპირებ, უბრალოდ, მარია ზახაროვას ნათქვამმა მე შემაშინა და ნეტავ, პოლონეთში რა ხასიათზე არიან? თუმცა, რატომ მხოლოდ პოლონეთში? „ორეშნიკის“ განეიტრალების შესაძლებლობა დღეს არცერთ ანტისარაკეტო სისტემას არ აქვს, არადა, უკვე აქაც კი ვიცით „ორეშნიკის“ პოტენციური სამიზნეები და მიზნამდე მიღწევის (ფრენის) დრო: პოლონეთი — 8 წთ; გერმანია — 11 წთ; ბელგია — 14 წთ; დიდი ბრიტანეთი — 19 წთ.

უკრაინაში ისეთი ამბებია დაწყებული, სავარაუდოდ, ძალიან მალე, უკრაინული წარმოშობის ეშმაკი კუთხეში მიჯდება და პირჯვარს გადაიწერს, ღმერთო, ამას რას მომასწარიო...

პუტინს არ ვიცნობ, მაგრამ საკუთარ თავს ხომ ვიცნობ, მე როგორ მოვიქცეოდი, ვიცი, ასე რომ, ზუსტად ისე მოიქცევა პუტინიც — ქვა ქვაზე აღარ დარჩება უკრაინაში და თუ ვინმე ძაან შეტოპავს, იმასაც ზედ მიაკლავს... ასე ვიცით მე და პუტინმა, ახლა გინდ მაგინეთ, გინდ ნათელმხილველად შემრაცხეთ! იძახეთ მერე „ჟანგიანი ტანკები“... ტანკი რად უნდა „დიდ საქმეს“, ტანკი სათამაშოა...

**Я шоколадный заяц!** — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა და საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მთავრობის ცალკეული პირები საკუთარ მთავრობაში მიიწვია.

როგორც ითქვა, მეტნი იქნებოდნენ, მაგრამ კახა ბენდუქიძე საეჭვოდ ცუდ დროს გარდაიცვალა (სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც იმიტომ არის საეჭვო, რომ „ნაციონალების“ მცირეხნიანი გლოვა მრავალმხრივ წააგავდა საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას გამო გლოვას);

ნიკა გილაურმა მისი დღევანდელი საქმიანობა შეუთავსებლად მიიჩნია უკრაინაში შეთავაზებულ პოსტთან და უარი განაცხადა;

საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი, ვითომ იმიტომ თქვა უარი უკრაინის ვიცეპრემიერობაზე, რომ კონსტიტუციით, უკრაინის მოქალაქეობის მიღება ავტომატურად ნიშნავდა საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას და რადგან ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი საქართველოს აღმშენებლობაში, არ ცდუნდა.

იმდენი შენ გაგიხმა ეგ მოუხოცავი ცხვირი!

კი, ცხადია, არ არის გამორიცხული, „ჯართის მიმღებ პუნქტში“ სიხარულით ჩაებარებინათ ტალახში ამოვლებული, მაგრამ დემოკრატიულად მოოქროვილი „ალუმინის ვარსკვლავბიჭუნა“, მაგრამ პირზე, რომელზეც სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, ვერ გაიქაჩნენ „მეგობრები“ გაღმა-გამოღმიდან.

უკრაინის „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერმა, სახალხო დეპუტატმა დმიტრი იაროშმა პეტრო პოროშენკოს ბლოკის ინიციატივა, მინისტრთა კაბინეტში უცხოეთის მოქალაქეების მინისტრობის კანდიდატების დასახელება, „არასრულფასოვნების კომპლექსად“ შეაფასა რადაში გამოსვლისას: „მე ვფიქრობ, ეს არის არასრულფასოვნების კომპლექსი, რადგან მიმაჩნია, რომ უკრაინაში ბევრი ღირსეული ადამიანია, რომლებიც შესაძლოა, წარმატებულნი იყვნენ უკრაინის მთავრობაში“...



მას რა მიაჩნია მართებულად, არავინ ეკითხება, მაგრამ 48 457 102-მილიონიან უკრაინაში გონებრივ რესურსში თუ იმხელა გარღვევა ჰქონიათ, საკუთარი მოსახლეობიდან მინისტრები და მინისტრის მოადგილეები, მრჩევლები და უბრალოდ, საქმის მცოდნე ადამიანები ვერ შეურჩევიათ, მართლაც მძიმე დღე დადგომიათ და უარესისთვის უნდა ემზადონ...

რა დროს იაროშის „სიბრძნეებია“, ან დირკ მიულერისა (გერმანელი ეკონომისტი, ექსპერტი ფინანსური ბაზრების კუთხით, ჟურნალისტი) რომელმაც განაცხადა, აშშ-მა მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში და ჩვენ იდიოტებად გვთვლისო;

ან აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცრის რეი მაკჰოვენისა, - აშშ, ნატო, ევროკავშირი, რომლებიც იმპერიად წარმოგვიდგება, საკუთარ ნებას თავს გვახვევენ, მაგრამ ამჯერად ფეხი წამოჰკრეს თავიანთ მორიგ პუტჩს, რომელსაც დასავლეთში რეჟიმის შეცვლას უწოდებენო;

ან ლინდონ ლარუშის, სკოტ რიკარდის, პოლ კრეიგ რობერტსის და სხვა პირთა „სიბრძნეები“, რომელთა მიერ მედიაში გადმოცემული საერთო აზრი ასეთია, რომ აშშ და ევროკავშირი ევრომაიდანს რამდენიმე წლის განმავლობაში ამზადებდნენ და მასში დიდი თანხები დააბანდეს ინტერნეტაუქციონ ebay-ის დამფუძნებელმა პიერ ომიდიარმა და ჯორჯ სოროსმა;

რომ უკრაინის კრიზისი დაგეგმა ვაშინგტონმა და გამოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციების, ამერიკული „მეხუთე კოლონების“ მეშვეობით, რომლებიც დემოკრატიის დამყარებისა და ადამიანების უფლებების დამცველთა ნიღბით მოქმედებენ...

კიევის ქუჩებში ერთი კი გაიფაფხურეს უკრაინელმა ახალგაზრდებმა, საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს პეტრო პოროშენკოს ანტიუკრაინული პოლიტიკის გატარების გამო და ხელისუფლების შეცვლას მოითხოვდნენ ხელჯოხებითა და ბლაგვი საგნებით შეიარაღებულები, მაგრამ პატრიოტიზმი არც იქ აღმოჩნდა „მოდაში“ და, ფაქტობრივად, იქით უნდა დარჩენილიყვნენ მადლობელი, რომ არ დაარბიეს და არავინ დააპატიმრეს დემოკრატიის სახელით...

უცნაური ხალხი აღმოჩნდნენ უკრაინელები, ძალიან უცნაურები და კიდევ ძალიან ბრიყვები, საქართველოს მაგალითზე ვერაფერი უსწავლიათ, პირიქით, მეტი მონდომებით იმეორებენ საქართველოს სიბრიყვეს და იქით იხვეწებიან, თქვენსავით და უფრო მეტადაც კი გვინდა გაბრიყვებაო...

(აქ, მონაკვეთი ამოვიღე, ცალკეულ პირთა გარყვნილებას ეხება და ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, სასამართლო პროცესები დასრულებულია)

ნათქვამია, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, როცა საქმე საქართველოში მოძულებული „ნაციონალების“ აქამდე „მეგობრად დანიშნულ“ უკრაინაში აღზევებას ეხება, ჰოდა, შაყირობს ხალხი საქართველოში და რჩევებსაც აძლევენ „ნაციონალების“ მეგობარ უკრაინელებს:

მადლობა, უკრაინის ნაგავ ხელისუფლებას ჩვენი სამშობლოდან ნაგვის გატანისთვის, მაგრამ ასე სათითაოდ თუ ზიდეს, ბოლომდე როდის გაზიდავენო?

რაც შეიძლება, მეტი ქართველი ამერიკელი უნდა დაინიშნოს უკრაინაში, რომ პროცესები უფრო დაჩქარდეს სწორი დასკვნების გასაკეთებლადო;

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, — არსებობს ხალხი, ვისაც პროფესიით ჟურნალისტი, საქართველოს შსს სისტემაში შემთხვევით მოხვედრილი და შემდგომში მინისტრობამდე აღზევებული ეკა ზღულაძე და განათლებით ისტორიკოსი ჯანდაცვის მინისტრი კვიტაშვილი რეფორმატორებად რომ მიაჩნიათო;

მართალია, ქართველებს არ გვაქვს გაზი და ნავთობი, მაგრამ სანაცვლოდ, 5-მლნ-იან ერს იმდენი კარგი კადრი გვყავს, 48-მლნიან უკრაინას ვამარაგებთ ჩვენი „დუბლებითო“;

იმ ერს რა ვუთხარი, კვიტაშვილის გამო საკუთარ კონსტიტუციას რომ ჩააფურთხებსო;

ქართველებს უკრაინელი ჯანდაცვის მინისტრი რომ გვეყოლება და უკრაინელებს ქართველი, ძალიან სასაცილოა, ეტყობა, „აბაროტს“ გვიღებენ სერგეენკოს გამო, მაგრამ გაცვლა არ მოგვთხოვონ და ისემც უქნიათ, მთელი „ნაცმო“ წაუყვანიათ თავის ოფისიანად, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთო;

ორ წელში მიხვდებიან უკრაინელები, რომ დიდი ნეხვი ჭამეს, მაგრამ ეს დედამო...ული „ნაცები“ უბრალო უკრაინელ ხალხს გადაგვკიდებენ, როგორც რუსების შემთხვევაში გააკეთესო;

იანკები ისეთს გვიჩალიჩებენ ჩვენც და უკრაინასაც, რუსეთი სანატრელი გაუხდებათ ჩვენს შვილიშვილებსო;




ძმებო უკრაინელებო, გეტყოდით, გენძრევათო, მაგრამ არა, მაგას ვერ გეტყვით, თქვენ აშკარად დედა გეტყ...ბათ საუკუნოდო;

9 წელი, ალბათ, გაქაჩავს უკრაინის „ფერადი მთავრობა“, მერე, თუ არ გამოუჩნდათ ბედკრულ უკრაინელებს ადგილობრივი ივანიშენკო, მოგვადგებიან და ივანიშვილს მოგვთხოვენ, ხარჯი ხარჯია, ახლა ეგ გვათხოვეთო;

ერთ უკრაინელს რატომ არ გაუჩნდა შეკითხვა: თქვე დედამირწყეულებო, თუ ასეთი წარმატებული იყავით, რატომ დაგანახიუათ გრუზინებმაო;

ჩვენთან მიშამ ჩაი...ვა და ვერ შეასრულა, ამ უბედურ უკრაინას კი ისე გააწეწინებს აშშ რუსეთს, იმავე თაობებს შეიძლება, სამოქალაქო ომიც მოუწიოთო;

მაგ პოროშენკოს ისე მიგუდავენ, კოჰაბიტაციის მნიშვნელობას ვერ გაიგებსო;

„სექენდ ჰენდ“ მთავრობაც თუ არსებობდა, არ ვიცოდიო;

საქართველო უკრაინის დახმარებით წარმატებით ჩაერთო პროექტში „ნაგვის გატანა მარტივიაო“;

რადგან უკრაინა ერთი ერთზე იმეორებს საქართველოს სიბრიყვეს, ემზადოს რუსეთთან ომისთვისო;

მოვუწოდებთ უკრაინელ ხალხს, გონს მოდით, თორემ დაიღუპებით, მოიცილეთ ფაშისტური ამერიკა პოროშენკოებიანადო;

ახლა კი, საქართველოში დარჩენილი, უკრაინაში დაუსაქმებელი „ნაციონლების“ ბედით შეწუხებული ქართველების ფბ-რეკომენდაციები და ინფორმაციები:

„პოროშენკოსთვის უკითხავთ, ირმა ნადირაშვილი რატომ არ მოგყავსო?

პოროშენკოს უთქვამს, ჩვენ ჩვენი ჩერნობილიც გვეყოფაო, მაგრამ კახა კალაძის რეკომენდაციით, კიევის აბანოების მმართველად დაინიშნება, „პადოშა“ — სერგეი ბუბკად, მაია ორჯონიკიძე — ლესია უკრაინკად, ხოლო ნოდარ მელაძე ლვოვის პრეზერვატივების ფაბრიკაში მიჰყავთ ყალიბად; სერგო კაკალაშვილი უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ; ერეკლე დეისაძე — სახელმძღვანელოების საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ; გრიგოლ ვაშაძე — უკრაინის საბალეტო დასის ხელმძღვანელად; სოსო თოფურიძე — კიევ-პეჩორის მიტროპოლიტად; დათა ახალაია — უკრაინის ომბუდსმენად; რადას გადაწყვეტილებით, ხათუნა გოგორიშვილი — „უკრაინის ადგილის დედად“ დაინიშნა; თეა თუთბერიძე — უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, საქართველოში პროფესორია და აქ რა უშავსო; უკრაინის კინოცენტრის ხელმძღვანელად — მეგიზ ქარდავა დანიშნეს, ხოლო კობა ხაბაზი უკრაინაშიც ყ..დ არის დანიშნულიო;

უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რადაში იმ ადგილებს ასხურეს ნაკურთხი წყალი, სადაც კომუნისტური პარტიის დეპუტატები ისხდნენ. კომუნისტური, ფაქტობრივად, უწმინდური სულებისგან განწმენდა იყო აუცილებელიო, განაცხადა დეპუტატმა იური ბუბლიკმა და ამ შემთხვევაშიც დაარიგეს ქართველებმა, გირჩევნიათ, ის ადგილები აკურთხოთ, სადაც კვიტაშვილი და ზღულაძე უნდა დასხდნენ, თორემ თქვენს უახლოეს მომავალზე ძალიან ცუდი სიზმარი გვაქვს ნანახიო...“

ახლახან გოგა ხაინდრავას „დემოკრატიის შუქურა“ წამოესწროთ უკრაინელებს, მაგრამ რა, მიდევნებული ლამპარი გინდ ყოფილა, გინდ არა... თუმცა, რას გახდება ერთი ქართული ლამპარი აშშ-ისგან გამონათებულ შუქურასთან...

უკრაინულ პოლიტორბიტაზე საეჭვოდ არის გამქრალი „დიდი და ფერადი“ ქართველი ჩე გევარა, გივი თარგამაძე. როგორც ჩანს, გვარიანად გამომტყვრალს კვლავ სადღაც ჩაეძინა და როგორც სხვა დროს, ახლაც მიავიწყდათ...

# დავიშალოთო...

## სპეცრეპორტაჟი ჩელიაბინსკიდან

13 გვ.

თლით, რაღაცას ახრჩოლებდა და ქათმის ფეხებს ისროდა, თვალებს არ დავუჯერე. იმასაც რამდენჯერმე ვუყურე და დავანებე თავი.

ახლა ვიფიქრე, ალბათ, რაღაც პერფორმანსი იყო, პარლამენტთანაც მცირე სექტანტურ ჯგუფად რომ ჩაატარეს, იმის ვარიანტშიმეთქი, — ისე, „ბულიონი“ რატომ ჰქვიათ, ვინ არიან, ნეტავ, ან რისი ბულიონი არიან?

„ბულიონის“ გახსენაზე ისევ ის ქათმის ფეხები გამახსენდა და ვიფიქრე, ალბათ, მაშინ მეტი ფული ვერ გაიმეტეს, რომ ხორცი ეყიდათ და სიმბოლურად ასე გამოეხატათ, შსს-ში „ძაღლები“ ხართო, მაგრამ ვინ მაცადა ვარაუდი!

— სტამბულიდან ჩამოვიყვანეთ



მსოფლიოში ტოპ-27 ცნობილ მჩხიბავთა შორის ერთ-ერთი უძლიერესი და ჯადო გავუკეთეთ შსს-ს და მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვუხსნით, თუ დღესვე გამოუშვებენ ყველა იმ პოლიტიკოსს, რომლებიც დააკავესო, — გვექადნებოდა ვიღაც გოგო და ოსტატურად გადააბეს ახლანდელ აქციას. მოდი და გაიგე, ესენი ხუმრობენ, თუ ტვინიდან გამოუჟონათ... ფაქტი ერთია, თუ ესენი ამ ყოველივეს სერიოზულად აღიქვამენ და ამბობენ, ცალკე ფსიქიატრები უნდა ვაგროვოთ, ცალკე — თელეთელი გამომლოცველები...

რაც შეეხება ჯადოს გავლენას, როგორც ვხედავთ, უკუღმა შეულოცავს იმ მჩხიბავს...

გამოვიხედე და, მელიქიშვილის გამზირზე, პოლიციელების მცირე კორდონის წინ, უკვე მოსუფთავებულ ტერიტორიაზე, ერთი კაი „გამოყოლილში“ მყოფი ტიპი აშკარად სიყვარულის სადღეგრძელოს ამბობდა და ხელთზომავდა — აქეთაც და იქითაცო, მაგრამ ბოლოს ცისკენ რატომ აიშვირა ხელი, ვერ მივხვდი, — ღმერთია მოწმეო? ყველაზე კაი ტიპი ეს იყო, ყველა უყვარდა, მხოლოდ ერთი პოზიცია ჰქონდა — სრულიად საქართველოს სიყვარული...

ერთმა ქალმა მთლად დამცა, — მხოლოდ სომხეთი და რუსეთი, მორჩა, არავითარი ამერიკა და ევროპა, მე გადავუკეტე გზაო, — ამის გადმოცემა შეუძლებელია, უნდა უყურო და უსმინო...

ამასობაში ის ქალი დამეკარგა, ძაღლს რომ „საბაკა“ არ ერქმევა და „ვკუსნაია ტოჩკაში“ ჭამა არ უნდა, „მაკდონალდსში“ ურჩევნია, — ბიჯოოო, რა გახარებული იყო, ტელევიზორში გამოვჩნდებიო, ხუთი მადლობა გადაუხადა ჟურნალისტს, — მერე გავიგე, ლექტორი ყოფილა...

ატყდა გნიასი — „კვესოს“ აუტეხავს! ჯერ ხომ პოლიციელებს დასდევდა გამოსაწვევად, მერე ხალხს ეცა, თუ ვინმე რამეს წარმოადგენს ამ ქალაქში, სვეცკობა იქნება თუ ინტელექტუალური ელიტა, ამ მიტინგებზე დგას და ზარქუას დის, თუ სალომე გოგიაშვილების იმედზე და იკარუსებით გალატაკებული ხალხის ჩამომყვანი „ქოცები“ რამდენს ბედავენ ამ ვიდითო. სალომე გოგიაშვილმა ისეთი უპასუხა, „კვესოს“ ნაცვლად კინაღამ მე გავექანე ჭიათურაში, მით უმეტეს, რომ მიყვარს მღვიმევის მონსტერში ასვლაც და იქიდან გადმოხედვაც. ვიღაცამ მიაწერა, ამ უბედურს „იკარუსი“, ეტყობა, რუსული მარკის ავტობუსი ჰგონია, ეს იჟოგის დროს გაკეთებულიო.

ეს რა არის, მათ დუელს თამარ ჩერგოლეიშვილი შეუერთდა და მიაკომენტარა: აუ, ეს, ალბათ, ტვინს უდღნავს იქ ვისაც სვეტად თვლის, შეცემდა ცოცვითო. იქ კომენტარები ატყდა, ქალებში ვიჯექი თამადად თუ კაცებში, ველარ ვიგებდი. ცოცვითო, ხალხო, ცოცვითო! იმ ანეკდოტისა არ იყოს, თუთიყუში რომ ამბობს, ოღონდ ეგ პოზა დამანახეთ და ხმას არ ამოვიღებო, ის დაგვემართა ყველას.

სრულებით რომ არ ველოდი, ტაბულა-ბიცოლა ახლა სიტყვიერად ამომიხტა, აღშფოთებული იყო, — გუბაზი და ვიკა ბუკია ერთად ხვრინავენო, — ჩემი გაოგნება უნდა გენახათ...

ვიფიქრე, დაშოშმინდნენ-მეთქი და მოულოდნელად საკუთარი თავი გაიდიადა ვიღაც გოგომ, „ლაივში“ ქოჩრით გვათრია ყველა, ვინც შევწუხდით სატრანსპორტო გზის გადაკეტვის გამო. ბიჯოო, რა დღეში ჩაგვაგდო და მოგვაყოლა ნუცუბიძეზე სილამაზის სალონში მოსიარულეებიც. მგონი, ვერისა და ვაკის დაშორიშორების იდეაც ჰქონდა, აღარ მახსოვს, ძალიან ვიცინოდი მის ტყლარჭვაზე — რანაირად ლაპარაკობდა, ალბათ, „ჯაან სვეცკურად“. გულმოდგინედ დასცინოდა იმ „ჩამოთრეულებს“, შემოვლითი გზები რომ არ იციან და წუხდებიან გზის გადაკეტვის გამო. ეს ბატიტვინა „ძაან „ლ“ ვაკელი“!

აბა, მე ვყოფილვარ! თურმე „ვიღაც“ კი არა, ის ყოფილა ვაკის დამაარსებელი პირველი ხოხობი. მერე მისი ისტორიული ფოტოც ვნახე, ნატა ფერაძესთან ერთად რომ ვაკელობს და გაახლებთ, ხომ უნდა ვიცნობდეთ გოიმი (თუ რას გვეძახის) ვაკელები და შემდეგ მომყოლივით მობმული არანაკლებ გოიმი თბილისი „მის უდიადესობას.“

ამ ტყლარჭიამ რომ „მიდამო ვაკის“ მცხოვრებლების წერილის შესახებ იცოდეს, თხოვნით როდის მიმართეს თბილისის გუბერნატორს და მერე ჩიოდნენ, ქალაქის გამგეობა დათანხმდა და 1906 წლიდან ვაკე თბილისზეა მიწერილი, მაგრამ არაფრად აგდებდნენო, ხომ თავს მოიკლავს, ამიტომ, არ გააგებინოთ! მტრისას, ისიც თუ გაიგო, ვაკელები აბუნტდნენ, ისევ გამოგვყავით ქალაქიდან, თუ არ მოგვხედავთო, — მეც მომკლავს ვაკის დაარსების ისტორიის გაბაზრებისთვის, ხოლო ის რომ გაიგოს, ჩემი წინაპარი როდიდან გახდა ვაკელი, ამომჟუჟავს საგვარეულოიანად.

გავხედე და, თვალებს არ დავუჯერე, აკაცუკების არმიას „ჯეკ ბეღურას“ მეკობრეებიც შეერთებიან დროშით ხელში — კარიბის ზღვის მეკობრეებიც კი აღშფოთებულან „ქართული ოცნების“ ხმების ქურდობით!

ისე არიეს ყველაფერი, აი, რამდენი ვართო, რომ საიდან რა სიურპრიზს აკრავდნენ, ბევრი რომ გამოჩენილიყვნენ, ჟამთაალმწერელიც ვერ მიხვდება!

ამ უსამშობლოებს რომ ვუყურებ, როგორ აბითურებენ ამ გასაბითურებლებს, სულ მინდა, ერთი ძველი ანეკდოტი მოვუყვე, მაგრამ ჯერ ერთი, არ მომისმენენ და მეორე — ვერ გაიგებენ, რას ვეუბნები:

კომუნისტების დროა. ტიპი ყოველდღე დადის ეკლესიაში და ღმერთს ევედრება, ძესიტ ტიში მჭირდება, ღმერთო და მიშველეო. ამ ამბავს მიუტანენ რაიკომის მდივანს. დაიბარებს ამ ტიპს და დაამხობს თავზე ყველაფერს, არანაირი ღმერთი არ არსებობს! ჰა, შენ 5 000 მანეთი და მოეშვი ეკლესიაში სიარულს და ღმერთისთვის ფულის თხოვნასო. ტიპი იმდღესვე მივა ეკლესიაში და — ღმერთო, მადლობა, რომ ჩემი ლოცვა შეისმინე, მაგრამ თუ ფულს მიგზავნიდი, რაღა ამ პი.. რასტის ხელით გამომიგზავნე, ნახევარი მომიტეხაო...

— „ქართული ოცნების“ ქმედებები საბჭოთა რეჟიმს მაგონებს. ყველანაირი რეპრესიული რეჟიმი მაგონებს საბჭოთა ხელისუფლებას, იმიტომ, რომ რეპრესიებზე იდგა მთელი საბჭოთა სისტემა, — მჭევრმეტყველებდა ვიღაც ასაკოვანი ქალი.

ვუყურე ამ ქალს, ვუყურე და ბოლოს, ვიცანი, მაგრამ ვერც მისი გვარი გავიხსენე, ვერც სახელი, მხოლოდ ის გამახსენდა, რომ ამ ქალის მამა „ტროიკის“ წევრი იყო; შორაპანში, ვაგონებში რომ ჩაცხრილეს ხალხი, პირადად იღებდა მონაწილეობას იმ კვლაში — „ძალიან წითელი“ იყო. ამ ქალს კიდევ, ისეთი ნაგულავები აქვს საბჭოთა პრემიებით, ჯილდოებით და ყველაფრით, რომ პარიზში „პატარა ქოხი“ იყიდა. „თურქი მესხების“ ჩამოსახლება ჩაეშალა, თორემ იქიდანაც კარგად მოქაფავდა. მისი გოგოს ამბავიც გამახსენდა...

ღმერთო, ნუ გადამრევ! შუბლის ძარღვი ასე როგორ გაუწყდა ამ ქალს, როგორ აგონებს ბუნჩულა „ქართული ოცნება“ საბჭოთა რეპრესიებს?

ბოლო ხანჯალი კოტე ყუბანეიშვილმა თვითონვე ჩამოისვა ყურზე: იმის მაგივრად, რომ ქუჩა იყოს გადაკეტილი, ერთი პატარა ბაღი ვერ შევავსეთო, — უნივერსიტეტის ბაღზე დაიჩივლა გიორგობა დღეს.

— წადით, სახლში, მორჩა კინო! — თქვა ვალიკომ და ეკრანად გაფენილი თეთრი ზეწარი ერთი ხელისმოსმით ჩამოაგდო.

ძაღლს რომ ჭია ჰყავს და საჯდომით ხოხიალობს, ისე სჭირთ ამათაც, მაგრამ რაღაც გრძელი ჭია ჰყავთ...

ამასობაში ინფორმაცია გავრცელდა, ჩელიაბინსკის ქალაქის თავად ალექსეი ლოშკინი აირჩიესო და წამიერად კინაღამ გული გამისკდა, ნეტავ, კახა კალაძეს ცუდი ხომ არაფერი დაემართა-მეთქი. ჯანდაბა ამათ თავს! იმდენი იძახეს, „ოცნებამ“ თუ გაიმარჯვა, დილას ჩელიაბინსკში გავიღვიძებთო, რომ თავი მართლა ჩელიაბინსკში მეგონა...

„საერთო გაზეთის“
სპეცკორესპონდენტი
„ჩელიაბინსკიდან“



# „ორეშნიკი“ – გაფრთხილება ყრუ და არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსებისთვის

პოლიტიკური მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა გასული კვირა მსოფლიოში. სამწუხაროდ, კიდევ უფრო გაიზარდა ახალი მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე, რასაც ცალკეული პოლიტიკოსები და ქვეყნების მმართველები უწყობენ ხელს. განსაკუთრებით თვალშისაცემია დამკვიდრებული ორმაგი სტანდარტები, რომელიც მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას აზარალებს.

„დიდი ოცეულის“ ქვეყნების სამიტის მსვლელობისას ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინელებს ნება დართო, გამოიყენონ შორი მოქმედების რაკეტები, რომლებიც აშშ-მ გადასცა. ცნობამ პროგრესულ საზოგადოებაში საყოველთაო შეშფოთება გამოიწვია. საგულისხმო განცხადება გააკეთა G-20-დან სამშობლოში დაბრუნებულმა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა: „...ახლა ბატონმა ბაიდენმა გადადგა ნაბიჯი, რომელიც ახალი მსოფლიო ომის დაწყების მცდელობად შეიძლება შევაფასოთ, რომელიც არასოდეს უნდა დასრულდეს და უფრო მეტად გაღვივდეს. ბაიდენის გადაწყვეტილება რუსეთის მხრიდან მწვავე რეაქციას გამოიწვევს“, — განუცხადა ჟურნალისტებს თურქეთის პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ადვილი შესაძლებელია, რეგიონი და მსოფლიო მასშტაბური ომის დაწყების საშიშროების წინაშე დადგეს.

მხარდამჭერები ბაიდენის გადაწყვეტილებას ევროპაშიც გამოუჩნდნენ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ნოელ ბარომ ბი-ბი-სი-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინას შეუძლია, გამოიყენოს მისი ქვეყნის შორსმოქმედი რაკეტები რუსეთის სიღრმეში შეტევებისთვის. მინისტრი არ გამორიცხავს უკრაინის ნატო-ში მიწვევას, რაზეც მოკავშირე ქვეყნები მუშაობენ.

ნებართვის მიღების შემდეგ უკრაინის არმიამ შორსმოქმედი რაკეტებით ბრიანსკის ოლქს შეუტია, სამიზნე ერთ-ერთი სამხედრო ობიექტი იყო.

გამართლდა ერდოღანის ვარაუდი, როდესაც განაცხადა, რომ რუსეთის მწვავე რეაქცია ექნებოდა. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გასულ კვირას ბრიანსკზე შეტევის შემდეგ დაამტკიცა განახლებული სახელმწიფო ბირთვული დოქტრინა, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია, გამოიყენოს ბირთვული იარაღი, თუ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრება. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთი ბირთვულ იარაღს იმ შემთხვევაშიც გამოიყენებს, თუ მოწინააღმდეგე არაბირთვული იარაღით შეუტევს. ასევე, განახორციელებს თავდასხმას იმ ქვეყნებზეც, რომლებიც იარაღით დაეხმარებიან მის მოწინააღმდეგეებს.

საპასუხო დარტყმამ უკრაინაზე არ დააყოვნა — რუსეთმა დაბომბა დნეპროპეტროვსკში არსებული ერთ-ერთი დიდი ქარხანა „იუჟმაში“, სადაც სამხედრო ტექნიკას აწარმოებენ. შეტევის შემდეგ პუტინმა რუსეთის მოსახლეობას მიმართა და აუწყა, რომ გამოიყენეს საშუალო მანძილზე მოქმედების (5 ათას კმ-მდე, სიჩქარე 2,5-3 კმ/წმ) უახლესი ბალისტიკური რაკეტა. აღსანიშნავია, რომ მისი გამანეიტრალებელი დანადგარი მსოფლიოში არ არსებობს. ბალისტიკურ რაკეტაზე შესაძლებელია




ბირთვული ქობინის დამონტაჟება, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ბრძოლისუნარიანობას.

ბალისტიკური რაკეტა რუსეთმა, ფაქტობრივად, პირველად გამოსცადა. ამასთან, პირდაპირ სამხედრო-საბრძოლო მოქმედებაში. კონსტრუქტორებმა მას „ორეშნიკი“ შეარქვეს.

ახალი იარაღის რუსეთის ჯარის შეიარაღებაში გამოჩენამ სერიოზულად შეაშფოთა დასავლეთის ქვეყნები. პენტაგონში აცხადებენ, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს დიალოგი რუსეთთან, ჩინეთთან და ჩრდილოეთ კორეასთან, რათა თავიდან აიცილონ ბირთვული ომის საფრთხე. ამერიკელი სამხედრო ექსპერტის, ბრაიან ბერლეტიკის განცხადებით, „უკრაინაზე ახალი ბალისტიკური რაკეტა „ორეშნიკით“ შეტევა სერიოზული გაფრთხილებაა ყრუ და არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსებისთვის... ნატო-ს ახლანდელი აგრესიული პოლიტიკა იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ალიანსი საკუთარ თავზე არ იგრძნობს, რა ნეგატიურ შედეგებამდე მიიყვანა მისმა გაუაზრებელმა პოლიტიკამ“.



ბრიტანულმა გამოცემა „დეილი მეილიმ“ გამოაქვეყნა სამხედრო ექსპერტების გამოთვლები, რამდენ წუთში მიაღწევს „ორეშნიკი“ ევროპულ ქალაქებს. „ევროპას არმაგედონიდან 20 წუთი აშორებს“, — წერს გაზეთი.

უკმაყოფილება ჯო ბაიდენის პოლიტიკისადმი ყოველდღიურად იზრდება, რასაც უკვე ღიად აფიქსირებენ. „განახორციელეთ ბაიდენის იმპიჩმენტი, რომელიც გენოციდს ახორციელებს. ახლა იგი ცდილობს, დაიწყოს მესამე მსოფლიო ომი“, — დაწერა სოცქსელებში ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეკსონ ჰინკლიმ უკრაინაზე „ორეშნიკით“ განხორციელებული შეტევის შემდეგ. მისივე შეფასებით, უკრაინის მიერ რუსეთის ტერიტორიაზე ამერიკული და ბრიტანული რაკეტებით შეტევა ნიშნავს, რომ კიევს სურვილი აქვს, მიაღწიოს ესკალაციის გაფართოებას, მესამე მსოფლიო ომის დაწყებას, ვიდრე ახალარჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოვალეობის შესრულებას შეუდგება. კიევის ხელისუფლებას სურვილი აქვს, მაქსიმალურად გაურთულონ ტრამპს მიზნის მიღწევა — მშვიდობის დამყარება“, — წერს ჟურნალისტი.

„პრეზიდენტი „კოჭლი იხვია“, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე საშიშ ქვეყანასათან დაიწყო ცხელი ომი. ყოველი ჩვენგანი ახლოს არის დაღუპვასთან“, — დაწერა ჟურნალისტმა ტაკერ კარლსონმა. აშშ-ში გამოითვალეს, რომ ჯო ბაიდენმა პრეზიდენტობისას დროის მხოლოდ 60 % გაატარა სამსახურში, დანარჩენ დროს დასვენებას ახარჯავდა. თავად მოქმედი პრეზიდენტი განაგრძობს საზოგადოების გაოცებას შეუსაბამო განცხადებებით: „მე ვარ ჯო ბაიდენის ქმარი! ყველაზე მეტად ამ ტიტულით ვამაყობ“, — განაცხადა ბაიდენმა თეთრ სახლში გამართულ საზეიმო ვახშამზე.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის შიდა ვალმა 36 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, იანვარში ჯერ კიდევ 34 ტრილიონი იყო. აქედან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.

ულიმღამოდ ჩატარდა ბრაზილიაში „დიდი ოცეულის“ ქვეყნების სამიტი. ამ ქვეყანაში ღონისძიება პირველად გაიმართა, ამიტომაც ცდილობდა ბრაზილიის პრეზიდენტი, ღონისძიება ღირსეულად ჩატარებულიყო. ნაწილობრივ მიაღწია კიდეც მიზანს, რადგან პოლიტიკურ საკითხებზე წინ ეკონომიკური საკითხები წამოსწიეს. კერძოდ, შეთანხმდნენ, რომ მსოფლიოში შიმშილთან ბრძოლას აქტიურად განაგრძობენ. თუმცა, რამდენად მოახერხებენ ამას, უცნობია, რადგან გლობალისტების მთავარი მიზანი დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაა.

წლევანდელი G-20 იმითაც იყო გამორჩეული, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მონაწილე ქვეყნების მეთაურების ყურადღების მიღმა დარჩა. ამის შესახებ გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსი“ იუწყებოდა: „ბრაზილიაში მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები სამიტზე არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ ჯო ბაიდენს“. გამოცემა, ასევე, იუწყებოდა, რომ ბაიდენმა ვერ შეძლო საკუთარი პერსონისადმი სათანადო ყურადღების მიპყრობა. იგივე გამოცემა წერს: „ბაიდენი მართალი აღმოჩნდა, როდესაც განაცხადა, რომ „დიდი ოცეულის“ სამიტზე შეკრებილი ქვეყნების მეთაურები მის გარეშე მზად იყვნენ წინსვლისთვის“.

საერთო ფოტოს გადაღებისას ჯო ბაიდენმა დაიგვიანა, თუმცა ეს თავიდან არავის შეუმჩნევია. მოგვიანებით კი მოიკითხეს, მოძებნეს და პალმის ჩრდილში იპოვეს ეულად მდგარი...

შემაჯამებელ კომუნიკეში საფრანგეთი, ბრიტანეთი და გერმანია ცდილობდნენ, ვრცლად ჩაწერილიყო უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის მკაცრი ფორმულირება, თუმცა, ლულა და სილვა ამის წინააღმდეგი წავიდა. „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, მოკამათე ქვეყნები დათანხმდნენ მასპინძელი ქვეყნის პოზიციას. შემაჯამებელ კომუნიკეში, ასევე, გაკვრით არის მოხსენიებული ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობა.

„გასულ კვირას დაგეგმილი იყო აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ლოიდ ოსტინის ჩინელ კოლეგასთან, დუნ ძიუნემთან შეხვედრა, მაგრამ შეხვედრაზე პეკინში უარი განაცხადეს. მიზეზი აშშ-ის მიერ ტაივანისთვის სამხედრო დახმარების პაკეტია“, — იუწყება სი-ენ-ენ-ი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გასულ კვირას ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს და ყოფილი თავდაცვის მინისტრის იოავ გალანტის დაპატიმრების ორდერები გასცა. საფრანგეთსა და ბრიტანეთში განაცხადეს, რომ დადგენილებას აღასრულებენ, თუ აღნიშნული პირები მათ ქვეყნებში ჩავლენ. სასამართლოს გადაწყვეტილებამ აღაშფოთა ჯო ბაიდენი, რომელმაც უწყება უდიერად მოიხსენია. რესპუბლიკელი სენატორი ლინდსი გრემი მოკავშირე ქვეყნებს სანქციებით დაემუქრა, თუ ისინი საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას აღასრულებენ.

გასულ კვირას ნატო-ს პრესსამსახურში დაადასტურეს, რომ ახალი გენერალური მდივანი მარკ რიუტე აშშ-ში ჩავიდა, სადაც დონალდ ტრამპს და მისი გუნდის წევრებს შეხვდა. ვიზიტის მთავარი მიზანი ახალარჩეულ პრეზიდენტთან უკრაინასთან დაკავშირებული სამშვიდობო მოლაპარაკების სტრატეგიის განხილვა იყო.

„ფაინეიშნლ თაიმსის“ ინფორმაციით, დონალდ ტრამპის სურვილია, რუსეთთან ხელშეკრულება-შეთანხმება გააფორმოს. გამოცემის ინფორმაციით, ამით ეჭვქვეშ დადგება ევროპის უსაფრთხოების გარანტია, რომელიც აშშ-ისგან ჰქონდათ და რომლის გარეშეც „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტს თავდაცვის საკუთარი პოლიტიკა არ გააჩნია.



**გია ბურდული**

# რამ შემქმნა ადამიანად...

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ს.გ." N 39)

უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლებს სჭირდებოდათ მომსახურე პერსონალი, რომლებიც იცოცხლებდნენ და იმუშავებდნენ დედამიწის პირობებში. მათ საწვავად ერთატომიანი ოქრო სჭირდებოდათ, ამიტომ მიწისქვეშა შახტებში მძიმე შრომისთვის მათ შექმნეს მუშა არსებები, ანუ ადამიანები. მათ გაანადგურეს დინოზავრები და გამოიყენეს დინოზავრების გენეტიკური მასალა, რომლითაც შექმნეს ჯერ ბიოლოგიურ ცხოველთა სახეობები და შემდეგ უკვე მოაზროვნე ბიოლოგიური რობოტი, რომელსაც ჩვენ ადამიანს ვუწოდებთ.

ადამიანებს და ცხოველებს აგრეთვე იყენებდნენ უნიკალური კვანტური ენერგიის შესანახად. ეს ენერგია არის უნიკალური და მისი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ ტექნოლოგიაში. ეს ენერგია არის უნიკალური საკვები, საწვავი.

ადამიანი არის მაიმუნის ბაზაზე შექმნილი, ანუ ადამიანს აქვს მაიმუნის 98% გენი და 2-% აქვს ჰუმანოიდური გენი, ამიტომ არის ადამიანი მოაზროვნე “ცხოველი”...

ადამიანი არის ბიოლოგიური კომპიუტერიზირებული რობოტი, რომელიც ასე ფუნქციონირებს: ადამიანის ტვინში ჩამონტაჟებულია მიკრობიოლოგიური ჩიპი (ეპიფიზი) – გირჩისებური ჯირკვალი, რომელიც შედგება კალცის კრისტალებისგან. ამ კრისტალებში, ანუ მიკროჩიპებში იწერება სამი უმთავრესი პროგრამა: 1. კვლავწარმოების (ანუ გამრავლების); 2. თავდაცვის; 3. კვების. ამ სამი ძირითადი პროგრამით ხდება ადამიანის ფუნქციონირება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ადამიანის ერთადერთი დანიშნულება არის იმუშაოს – ანუ მოიპოვოს სასარგებლო წიაღისეული: ესენია – ოქრო, ალმასი, ჰელიუმი, კაჟი, კვარცი, მოლიბდენი.

თავდაპირველად რენიუმისგან დამზადდა უსქესო არსება – ბიორობოტი, რომელიც 84 000 წელი ფუნქციონირებდა უპრობლემოდ, ხოლო როცა მოხდა პლანეტარული კატასტროფა და ატმოსფეროს შემადგენლობა შეიცვალა, ეს ბიორობოტები სამუშაოებისთვის სავსებით უვარგისები გახდნენ, რის გამოც ახლიდან დამზადდა ბიორობოტები. ბიოლოგიურ მასალად გამოყენებული იქნა არსებული ბიორობოტის გენები, მაგრამ რადგან მათ ადრე კლონირებით ამრავლებდნენ და ეს ხანგრძლივი პროცესი იყო, გადაწყდა, დამზადებულიყო ორი სახეობის არსება XX და XY უჯრედები, ანუ ჩვენებურად - მდედრი და მამრი.

მამრის პროგრამაში ჩაიწერა უმთავრესი დავალება – მას უნდა მოეძებნა ბევრი მდედრი, რომ რაც შეიძლება ბევრი ბიორობოტი დაეთესა, ხოლო ქალის პროგრამაში ჩაიწერა უნიკალური დავალება, ქალს რაც შეიძლება ბევრ მამრთან უნდა ჰქონოდა სექსუალური აქტი, რათა გარანტირებული ორსულობა ჰქონოდა. დაორსულების შემდგომ პერიოდში ქალის გამრავლების პროგრამა იბლოკებოდა, მას აღარ აინტერესებდა მამრთან ფიზიკური კავშირი და ერთადერთი მისი საზრუნავი იყო ახალი ბიორობოტის გამოზრდა მუცელში და შემდგომში მისი გაჩენა, ხოლო ამისათვის მას სჭირდებოდა დამხმარე, რომელიც მას საკვებით მოამარაგებდა, ანუ მამრი. ასე ჩამოაყალიბეს დედამიწაზე ბიოლოგიური რობოტების რასები, რომლებმაც შეასრულეს დაკისრებული სამუშაოები, შემქმნელებმა წაიღეს მიწიდან ამოღებული ოქრო, ალმასი, კაჟი, კვარცი, მოლიბდენი, რენიუმი, ალმასი და დატოვეს დავალება, სანამ ისინი მეორედ მოვლენ, ადამიანებმა უნდა მოაგროვონ რაც შეიძლება ბევრი ოქრო, ჰელიუმი, ალმასი, კაჟი, მოლიბდენი და სხვა სასარგებლო წიაღისეული!



ხშირად ისმება შეკითხვები კლინიკური სიკვდილის შესახებ, თუ არა სული, მაშ რა არის სხეულიდან რომ გამოდის და დაჰყურებსო? ყველაფერს აქვს მეცნიერული ახსნა, თუმცა წერა-კითხვის არმცოდნე ან მოძულე საზოგადოებას მაინც ზღაპარი ურჩევნია მოსასმენად და უხილავის გასაკერპებლად…

სამყარო არის უკიდეგანო სივრცე და მუდმივი სიცოცხლის სუბსტანცია, რომელსაც ვერც ვერავინ შექმნის და ვერც ვერავინ გააქრობს..

არსებობს ორი სახის სიცოცხლის ფორმა: ნახშირბადული და ეთერული, ანუ ნახშირბადული ფორმა არის ცილოვან სტრუქტურაში და ეთერული არის რამდენიმე სტრუქტურაში, პლაზმურ, აირულ და მინერალურ სტრუქტურებში (კაჟი, კვარცი და ალმასი).

რაც შეეხება ეთერულ სიცოცხლის ფორმას, ეს არის ყველაზე უნიკალური ფორმა, რომელიც არ საჭიროებს სხეულს, ანუ ის არის რამდენიმე განზომილებაში ერთდროულად. ეთერი — ეს არის უმაღლესი გონის შეკუმშული, დაწნეხილი მდგომარეობა, რომელიც მაღალი წნევისა და სივრცის ვიბრაციის მეშვეობით მუდმივად ყალიბდება. ეს ეთერული სუბსტანციები ინფორმაციას გადაგზავნიან ნახშირბადული სიცოცხლის ფორმებში, ანუ ეთერიდან ინფორმაცია „ჰიგსის ბოზონების" მეშვეობით იგზავნება ნახშირბადის ატომებში. ეს ატომები ქმნიან ეგრეთწოდებულ შეჯგუფებულ სუბსტანციას, რომელიც გაცივების მეთოდით ყალიბდება ცილოვან სტრუქტურად, სადაც უკვე იწერება დნმ, ანუ ნუკლეინის მჟავებით მასში სინთეზირდება სხვადასხვა სიცოცხლის ფორმები, ანუ უმაღლესი გონი ამ მეთოდით გარდაიქმნება რამდენიმე ტრილიონ სიცოცხლის (მატერიალურ) სახეობად.

ეგრეთწოდებული კლინიკური სიკვდილის დროს „ფანტომი" ჟანგბადის დეფიციტის გამო გამოდის ორგანიზმიდან, მაგრამ ტვინთან ჩვეულებრივი კონტაქტი აქვს, ანუ „ფანტომს" შეუძლია, რამდენიმე კილომეტრზეც გავიდეს და იქიდან მოაწოდოს ტვინს ინფორმაცია — ვიზუალურიც და ბგერითი, როგორც „ვაიფაი", ისე მუშაობს. აი, ამ „ფანტომს" უწოდებენ „სულს".

გონი სულ სხვა სუბსტანციაა, რომელიც მხოლოდ ბიოლოგიური არსების ტვინში წარმოიქმნება და მას უსხეულოდ არსებობა არ შეუძლია.

დედამიწა არის ციხე, რომელშიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფება ადამიანი, შემდეგ კვდება და სამუდამოდ ქრება.

საქმე შემდეგშია — ადამიანის შემქმნელებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს და ერთი-ერთი შეცდომა ის იყო, რომ ადამიანში ჩადეს „ეპიფიზი"(გირჩისებური ჯირკვალი), რომლის საშუალებითაც ადამიანებს შეუძლიათ ანალიტიკური აზროვნება, რაც განუწყვეტელ ძიებას იწვევს და ადამიანი ხდება „მეცნიერი", ანუ ადამიანს უჩნდება საშინელი სურვილი, ამოხსნას ჯერაც შეუცნობელი და გასაიდუმლოებული მოვლენები!

მოვიდა უკვე ის დრო, როდესაც ადამიანი უნდა გახდეს დამოუკიდებელი ყოველგვარი დამყაყებული შეთხზული ისტორიებისა და ჩაკეტილი „მეცნიერებებისგან"!

სანამ ადამიანი დედამიწაზე იცხოვრებს, ის მუდამ მოკვდავი იქნება, რადგან მისი ბიოლოგიური „ავატარი" (სხეული) არის მძორი, რომელიც ძალიან მალე გამოდის წყობილებიდან და იწყებს ხრწნას, ამიტომაც არის ერთი დიდი საიდუმლო, რომელსაც დღემდე მალავენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი"!

ეს საიდუმლო არის ის, რომ თუ გინდა, უკვდავად იქცე, სასწრაფოდ უნდა დატოვო დედამიწა და იფრინო კოსმოსში, სადაც არც დრო არსებობს და არც „ქართული ტრადიციები". იფრინე კოსმოსში და იცოცხლებ მუდამ! აი, ამიტომაც არ სახლდებიან „უცხოპლანეტელები" არცერთ პლანეტაზე მუდმივად და მუდამ მოძრაობაში არიან, რომ იფრინონ მთელ უკიდეგანო სამყაროში და დატკბნენ სიცოცხლით ყოველწამიერად. ვისაც აზროვნების უნარი კარგად განვითარებული აქვს, ის მიხვდება, რაზეც ვსაუბრობ!

რატომ ბერდება ადამიანი და რატომ იწყებს მისი ორგანიზმი სწრაფ კვდომას?..

იქნებ, ვინმეს ჰგონია, რომ სიკვდილი გარდაუვალი მოცემულობაა და სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ადამიანებისათვის?

არა! სიკვდილი - ეს არის ხელოვნურად შექმნილი სპეცმექანიზმი, რომელიც დაბადებიდანვე იწყებს ადამიანის განადგურებას და მის სრულ მოსპობას!

ეს როგორ? — გაჩნდება ლოგიკური შეკითხვა.

ძალიან მარტივად რომ აგიხსნათ, ერთ მაგალითს მოვიყვან: აბა, დააკვირდით, რა სასწაული ენერგია აქვთ ბავშვებს, მთელი დღე დარბიან და არ იღლებიან, ერთ ადგილას ვერ გააჩერებ. რატომ ხდება ასე? თქვენ გგონიათ, ეს უმიზეზოდ ხდება? ამას თავისი მიზეზი აქვს. საქმე ის არის, რომ ბავშვებს უნიკალურად აქვთ განვითარებული ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელსაც ენერგიის შენახვა და დაგროვება ეწოდება!

საიდან იღებს ბავშვი ამდენ ენერგიას? იქნებ, ფიქრობთ, რომ ამ ენერგიას მხოლოდ საკვებიდან იღებს? ნურას უკაცრავად! ბავშვი სად ჭამს იმდენ საკვებს, რამდენსაც ზრდასრული ადამიანი? აბა, რატომ აქვს ამხელა ენერგია ბავშვს? საიდან ეს ენერგიები? საიდან და კოსმოსიდან, მაგრამ ეს არა დღის სინათლეზე შემოსული ენერგიებია, რომელსაც მზე ასხივებს, არამედ ღამის საათებში შემოსული ენერგიები, რომელსაც ბნელი კოსმოსი აგზავნის განუწყვეტლივ.

საქმე ის არის, რომ კოსმოსიდან უწყვეტად მოედინება ენერგიების უნიკალური წყაროები სხვადასხვა გამოსხივების საშუალებით. ბავშვის სხეული არის უნიკალური „კონდენსატორი", რომელიც „გუბკასავით" ისრუტავს ამ კოსმიურ ენერგიებს და ეს ენერგიები ყველა უჯრედში აკუმლირდება. ეს იმდენად დიდი ენერგიებია, ბავშვმა რომ არ ირბინოს, შეიძლება, მას კრუნჩხვები და ეპილეფსიური გულყრები დაემართოს ზედმეტი ენერგიებისგან!

ზრდასრულ ადამიანებში არ ხდება ამ ენერგიების შესვლა? როგორ არ ხდება, ხდება და მერე როგორ, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაც ადამიანს ასაკი ემატება, ის ძალიან დიდ დროს ატარებს დღის სინათლეზე და ეს ენერგიები ორგანიზმში აღარ აკუმულირდება! ანუ კოსმოსიდან შემოსული ენერგიები ადამიანის ორგანიზმში კი გაივლის, როგორც რენტგენის სხივები, მაგრამ ადამიანის ორგანიზმს აღარ აქვს უნარი, ეს ენერგიები შეაკავოს და უჯრედებში დაიგროვოს!

ეს როგორ, რატომ კარგავს ორგანიზმი ამ თვისებას?

რატომ კარგავს და ჩვენს უჯრედებში არის მეტად უცნაური მოწყობილობა, რომელსაც მიტოქონდრიები ეწოდება და აი, ამ მიტოქონდრიებში გამომუშავდება ზუსტად ელექტროობა, რომელიც საჭიროა ახალი უჯრედის სინთეზირებისათვის.

და რა ხდება მერე? რა ხდება და კოსმოსიდან შემოსული ელექტროობა სრულიად სხვა წარმოშობისაა, უჯრედში წარმოქმნილი ელექტროობა კი რადიკალურად განსხვავებული. აი, ეს ორი ენერგოვეშაპი ეჯახება ერთმანეთს და ამ დროს ხდება ეგერეთწოდებული „მოკლე ჩართვა", რაც იწვევს ორგანიზმში მძიმე მეტალების სინთეზირებას და ზუსტად ეს მძიმე მეტალები ხდება ეგრეთ წოდებული „დამცავი კედლები", რომლებიც კოსმოსიდან წამოსულ ენერგიებს უპრობლემოდ ატარებენ თავის „ხვრელებში"და ორგანიზმი რჩება კოსმოსური ენერგიების გარეშე. აი, ეს არის მიზეზი სწრაფი დაბერებისა და სიკვდილისა!

და რა არის ამისი მიზეზი? ამის მიზეზია დიდხანს ყოფნა მზის სინათლეზე, ანუ ადამიანი არ არის შექმნილი მზის გულზე სამუშაოდ, ის შექმნეს მიწისქვეშა სამუშაოებისათვის და ამიტომაც ცხოვრობდნენ საუკუნეების განმავლობაში მიწისქვეშა სამყაროში, სადაც მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ათასწლეულებს აღწევდა. მას მერე, რაც ადამიანი მიწისზემოთ ამოვიდა და მზეს დაუწყო თაყვანისცემა, მისი სიცოცხლის ხანგრძლოვობა კატასტროფულად შემცირდა და ძალიან მალე დადგება ის დრო, როდესაც ადამიანები მაქსიმუმ 20 წელი იცოცხლებენ, თუ დროზე არ დაუბრუნდებიან მათთვის ხელსაყრელ გარემოს, მიწისქვეშეთს, სადაც მზის სხივების მომაკვდინებელი ულუფები არ აღწევს.

ვისაც გინდათ, დიდხანს იცოცხლოთ და მალე არ დაბერდეთ, მოერიდეთ დღის სინათლეზე დიდხანს ყოფნას და განსაკუთრებით მოერიდეთ მზეს — ის თქვენი კეთილისმყოფელი კი არა, თქვენი დაუძინებელი მტერია!

რა უცნაურია, — როდესაც შეუძლოდ ვარ (ათასში ერთხელ) — წინაპრების გამოძახილი ვარ, მზეს რომ ვერ ვიტან და ჯურღმულები მიყვარს? — გულიანად გადავიკისკისე.

ადამიანი არის ღამის არსება და წესით, მას დღისით უნდა ეძინოს!

უკაცრავად, „მძინარე მზეთუნახავი" ხომ არ გაგახსენდათ?

აკი მოგახსენეთ, ყველაფერს აქვს ახსნა-მეთქი და „მძინარე მზეთუნახავი" თვითონ აღმოცენდა სიტყვათა წყობაში, ხოლო „ზღაპარი" რა აზრის მატარებელია, ამაზე შემდგომ ვისაუბროთ!

ქართულს დაუკვირდით, ჩვენ ჩვენი შემქმნელის ენაზე ვლაპარაკობთ, ხოლო ვინ არის შემქმნელი და რას ვუწოდებთ მას, სრულიად სხვა საკითხია!

მაკა ჯაყელი

# პირამიდები - დიდი საიდუმლოს მატარებელი ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ს.გ.“ N 39)

პლატონის მტკიცებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ატლანტებმა დედამიწის სხვადასხვა რეგიონების კოლონიზაცია მოახდინეს, იქ მიწათმოქმედების ცენტრები დააარსეს და კოლონიების გასაკონტროლებლად, სწრაფი და მარტივი კომუნიკაციისთვის, პირამიდები ააგეს.

ეს ყველაფერი 12 000 წლის წინათ, ანუ ჩვენს ერამდე 10 000 წლის წინათ ხდებოდა. თუ დავუშვებთ, რომ ამას „ციდან მოსული“ ცივილიზაციის მიერ დედამიწაზე დამკვიდრებული ადამიანური ცივილიზაციის წარმომადგენლები აკეთებდნენ, მაშინ საკითხავია, რატომ უგებდნენ კოლხები ენერგიის წყაროებს მათ, ვისაც უგებ-



დნენ, საიდან ჰქონდათ ეს ცოდნა და რატომ? რა აკავშირებდა ძველ კოლხებს რაღაც სხვა ცივილიზაციასან? ან ისინი მაინც, სულაც ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ, ციდან დაეშვნენ, კოსმოსიდან, რომელიც უსასრულოდ მიიჩნევა?

ჰეროდოტეს, „ისტორიის მამას“ (ძვ. წ. აღ. 490-425 წ.წ.) გვერდს ვერ ავუვლით ამ საკითხთან დაკავშირებითაც. მისი ავტორიტეტიდან გამომდინარე, მის მიერ ნათქვამი ყველა სიტყვა დამაჯერებელია, მაგრამ მოხდა ისე, რომ მასაც არ დაუჯერეს, როდესაც განაცხადა, რომ თავისი თვალით ნახა მეტალისგან დამზადებული ნავი, რომელიც დიდი სიჩქარით შევიდა ჰერაკლეს სვეტებიდან (გიბრალტარის სრუტე) და ხმელთაშუა ზღვაში გაუჩინარდა. ძვ. წ. V საუკუნეში ჰეროდოტე ამტკიცებდა, რომ დიდი სიჩქარით შემოცურებულ ნავს არც აფრები ჰქონდა და არც ნიჩბები — ბუნებრივია, მასზე მყოფ ადამიანებზე საუბარი არ არის. დღეს დაიჯერებდნენ წყალქვეშა ნავის დანახვას...

ძვ. წ. აღ. XV საუკუნეში. 1468 წელს ნილოსის სანაპიროსთან როდესაც მფრინავი ობიექტი გამოჩნდა, როგორც ჩანს, იმდროინდელი ეგვიპტელები არც დაზაფრულან და არც აღტკინებულან, ფარაონ თუთმოს III-ის ბრძანებით „ქრონიკებში“ მხოლოდ ფაქტი დააფიქსირეს, რომ „ზამთრის მესამე თვეში ცაში გამოჩნდა სწორი ფორმის მქონე დიდი ობიექტი, რომელიც ნელა გადაადგილდებოდა სამხრეთისკენ“.

ეგვიპტის ტერიტორიაზე (არა მხოლოდ) ქალაქ აბიდოსის ტაძრის იეროგლიფებს შორის ნაპოვნია მფრინავი ობიექტის გამოსახულებები, იქვეა „ჰეროდოტეს უაფრებო ნავიც“. ტაძარი ჩვენს ერამდე 1290-1279 წლებშია აგებული ფარაონ სეტი I-ის მმართველობის დროს.

ცენტრალურ ამერიკაშიც არის შემორჩენილი თქმულება, რომ „მფრინავი ვეფხვი“ მოფრინდა და გარკვეული დროის განმავლობაში ინდიელებთან ცხოვრობდა. ის მათ ასწავლიდა მიწათმოქმედებასა და წერას, შემდეგ კი, როდესაც დარწმუნდა, რომ ახსნილი კარგად შეისწავლეს, ინდიელებს უბრძანა, მაღალ მთაზე აეყვანათ. იქ კი რაღაცაში ჩაჯდა, რომელიც ჭექაქუხილსა და ელვაში ცაში გაუჩინარდა.

რატომ — „მფრინავი ვეფხვი“, ძნელი სათქმელია, „მფრინავი ლომი“ ბევრად ადვილი გასაგები იქნებოდა, რადგან, როგორც „რაღაც მნიშვნელოვანი“, სხვა შემთხვევებშიც გვხვდება...

თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ „ვეფხვში“ დევს რაღაცის გასაღები, ვეფხვიც ხომ მრავლად გვხვდება?

იაზონი, როგორც ფიგურა, როგორც გმირი, პინდარეს მეოთხე ოდაში მოხსენიებულია ვეფხვის ტყავ-ოსნად; ზოგადად, ვეფხვის ტყავოსანი გმირები დაკავშირებული არიან უძველეს პროტოქართულ სამყაროსთან; ვეფხვის ტყავოსანი ქურუმები გვხვდებიან ეგვიპტურ მისტერიებშიც; ვეფხვის-ტყავოსანია ტროელი პარისიც; ვეფხვის ტყავით არიან შემოსილები ტროელი გმირებიც; დიონისეს პროცესიებს, სხვათა შორის, ვეფხვი მიუძღვის და თავად დიონისეც ვეფხვის ტყავოსანია; პალეოკავკასიურ სამყაროში ტარჰუ, ამინდისა და ჭექა-ქუხილის ვეფხვის-ტყავოსანი ღვთაება; ვეფხვის ტყავი არის ატრიბუტი იმ ღვთაებისა, რომელსაც იცნობდნენ როგორც ინდრას ინდოეთში, ისე მარდუკს – მესოპოტამიაში... მოკლედ რომ ვთქვათ, ვეფხვის ტყავი უძველესი სახეა იაფეტური კაცობრიობის, კავკასიური რასისა.

რაც შეეხება „ლომს“ — მაგალითად, ბერძნულ მითებში მოთხრობილია მფრინავ ნახევრადლომზე, რომელსაც ქალის თავი აქვს და კლდეზე ცხოვრობს. მითის მიხედვით, მას მოგზაურებისთვის რთული შეკითხვების დასმა სჩვეოდა და ვინაიდან სწორ პასუხს ვერ სცემდნენ, ყველას ხოცავდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ლომ-ქალს ოიდიპოსი არ შეხვდა. ურჩხულმა შეკითხვა დაუსვა: ვინ დადის დილით ოთხზე, შუა დღეს — ორზე, ხოლო საღამოს სამზე? ოიდიპოსმა უპასუხა, ადამიანიო. შეკითხვაზე სწორი პასუხის მოსმენის გამო იმედგაცრუებული ლომ-ქალი კლდიდან გადავარდა და მოკვდა, ხოლო ოიდიპოსი, როგორც ურჩხულისგან განმათავისუფლებელი, ხალხმა მეფედ დასვა.

ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ლეგენდა ძველეგვიპტური უნდა იყოს, ის სფინქსს უკავშირდება და ბერძნებმა, როგორც სხვისი და ბევრი რამ მიითვისეს და თავისად





„გამოაცხვეს“, ამ შემთხვევაშიც ასეა...

სფინქსის შესახებ მხოლოდ ის დადგინდა, რომ ჩვენს ერამდე XI საუკუნეშია შექმნილი; ასევე, იციან მიზეზი, რატომ მაინცდამაინც ლომის — როდესაც სფინქსი შეიქმნა, დედამიწა ლომის ეპოქაში ყოფილა, მაგრამ რა დანიშნულება აქვს მას, კვლავ ამოუცნობია.

მეცნიერებმა შეისწავლეს სფინქსის ადამიანური სახის ნაკვთები და როგორც დაადგინეს, ის დედამიწაზე დღეს მცხოვრები არც ერთი რასის წარმომადგენელს არ ჩამოჰგავს. შესაბამისად, დაასკვნეს, რომ სფინქსს აქვს იმ ცივილიზაციის წარმომადგენლის სახე, რომელიც ჩვენს ცივილიზაციამდე ცხოვრობდა დედამიწაზე და სფინქსი არის ერთგვარი „სახსოვარი“, რომელიც წინა ცივილიზაციამ ჩვენსას დაუტოვა. არსებობს წინასწარმეტყველება, რომ მაშინ, როდესაც სამყაროს აღსასრული მოახლოვდება, ქანდაკება გაცოცხლდება და თავად მოყვება ყველა საიდუმლოს შესახებ, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იქნება.

ერთია ეგვიპტის სფინქსი, მაგრამ იგივე მფრინავი ლომის ქვის სტატუა ანტარქტიდის მღვიმეების ბოლოში, სიღრმეში ჩამავალი შახტის შესასვლელთან რაღას ნიშნავს, იმავე „ლომის ეპოქას“? შახტა სად მიდის, ის რაღას მალავს?

ცენტრალურ ამერიკაში, იმავე მიდამოებში, იუკატამის ნახევარკუნძულზე, იქ, სადაც მაიას ტომი ცხოვრობდა, ერთ-ერთი სამარხის გახსნის დროს კედელზე აერონავტის გამოსახულება და სცენა აღმოაჩინეს იმისა, როგორ ასწავლიდა მფრინავი ადგილობრივი ტომის ბელადს ხომალდის მართვას.

ინფორმაციები მფრინავი ობიექტების შესახებ შემორჩენილია კელტურ მითოლოგიაშიც. დადგენილია, რომ ძველი ხალხები არა მხოლოდ ხედავდნენ ცაში მფრინავ ობიექტებს, ზოგი მათგანი კარგადაც იცნობდა მათ აგებულებას, თუმცა ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით განვაგრძოთ.

შუმერული ჩანაწერები რომ გავათანამედროვოთ, ვიგებთ, რომ მარსსა და იუპიტერს შორის კიდევ იყო ერთი პლანეტა — ფაეთონი (დღეს ასე იწოდება) და მზიდან საკმაოდ დაშორებული პლანეტა — ნიბირუ, რომელიც ფაეთონს შეეჯახა და ნამსხვრევებად აქცია. შეჯახების შედეგად ფაეთონის ორბიტაზე ასტეროიდების სარტყელი გაჩნდა; მის სიახლოვეს არსებულ მარსს ქერქი გადასძვრა, ხოლო დედამიწაზე ჩამოვარდნილმა ფაეთონის ნაწილმა დედამიწის ქერქი გახეთქა, რამაც გააჩინა დამანგრეველი ცუნამი, რომელმაც გადარეცხა დედამიწა, ანუ წარღვნა მოხდა.

შუმერული ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ატლანტები სწორედ ნიბირუდან ჩამოვიდნენ დედამიწაზე ოქროს მოსაპოვებლად 445 000 წლის წინათ. არქეოლოგებმა სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე მართლაც აღმოაჩინეს საბადო, რომელშიც ოქროს 100 000 წლის წინათ მოიპოვებდნენ, ხოლო მოსახლეობა იმ ტერიტორიებზე მხოლოდ 80 000 წლის წინათ გამოჩნდა. შუმერული ქრონოლოგიის მიხედვით, პლანეტა ნიბირუ დედამიწის სიახლოვეს ყოველ 3 600 წელიწადში ერთხელ ჩნდებოდა და ოქრო მიჰქონდა (ე. ი. წარღვნა დედამიწაზე ჩვენს ერამდე 8 800 წლის წინ უნდა მომხდარიყო).

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99